№ 16. წელიწადი პირველი

ფასი ყველგან 15 კაპ.

# დროშა

მარქსის სახ. საქართ. ბიბლიოთეკა



პიონერების წვლილი ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხისთვის

# წითელი არმია მანევრებზე

შუაღამე გადასული იყო.

ჰაერი გაარღვია საყვირის მძლავრმა ხმამ.

დაიწყო კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის დიდი მანევრები, რომელიც გაგრძელდა თითქმის ერთ კვირას.

„წითლებისა“ და „ლურჯების“ ლეგიონები რომლებშიაც შედიოდნენ ქართული, რუსული, სომხეთის და აზერბეიჯანის წითელი ჯარის ნაწილები „ბრძოლის“ ველზე შეხვდნენ ერთიმეორეს, რომ აქ დაენახვებინათ ყველასათვის — მტრებისათვის და მოყვრებისათვის — თავისი საბრძოლო გაწვრთნა-მომზადება.

რეგულიარული ჯარის გარდა მანევრებზე გამოვიდნენ ამიერ-კავკასიის შეიარაღებული მუშები — ცუშ თა ათასეულების სახით, „ბრძოლის“ ველზე ისინი გვერდში ამოუდგნენ წითელარმიელებს და დაამტკიცეს, რომ მათაც კარგად შეუძლიანთ იარაღის ხმარება.

დაწყებული გორიდან, მცხეთის მიდამოებამდე ყოველდღიურათ სწარმოებდა „წითლების“ და „ლურჯების“ ბრძოლები.

აქ, ამ „ბრძოლებში“ ნათლად გამოირკვა ჩვენი წითელი არმიის ნამდვილი სახე, მისი სიმამაცე, სიმტკიცე, მისი შეგნება.

წითელმა არმიამ ამ მანევრებით ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ იგი არის უდიდესი ძალა, რომელიც სალი კლდესავით არის აღმართული წითელი საზღვრების დასაცავად.

მანევრების პირველი ეტაპი იყო ბრძოლა სამთავისის მაღლობების დასაპყრობად.

„წითლების“ მცირე ნაწილი, ერთი ათასეული, იბრძოდა „ლურჯების“ სამი ლეგიონის წინააღმდეგ. არც ერთმა მხარემ არ იცოდა მოწინააღმდეგის ძალების რაოდენობა.

„ბრძოლა“ რომ გაჩაღდ , მხოლოდ მაშინ შეიტყეს „წითლებმა“, რომ უპირატესობა ჯარის რაოდენობის მხრივ „ლურჯების“ მხარეზეა.

„ბრძოლა“ უთანასწორო იყო.

„წითლები“ მამაცათ იქცეოდნენ. ჯერ გაუმკლავდნენ „ლურჯებს“ და შემდეგ დაიხიეს უკან, უფრო მოხერხებულ ადგილისაკენ.

მანევრების ამ ეტაპმა ნათელჰყო ის გარემოება, რომ წითელი ჯარის ნაწილებს აქვთ საკმაო ცოდნა და ტაქტიკური გამოცდილება.

„წითლებს“ საუკეთესო ადგილებზე ჰყავდათ მოთავსებული და გამაგრებული არტილერია, ტყვიამფრ-ქვევლები, კარგ ადგილას ჰქონდათ მოწყობილი სანგრები.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო ბრძოლები ოკამის, თეზის, ქსოვრისის და დამპალას რაიონებში.

ბრძოლებმა მუხრანის ველზე, სარკინეთის და წილკანის მიდამოებში უფრო ნათლად გამოაშკარავა მეთაურთა და წითელ არმიელთა მომზადება და მათი უნარიანობა.

მეთაური დიდ როლს თამაშობს ბრძოლის დროს. მას მიჰყავს ბრძოლაში არმიელები, იგი ხელმძღვანელობს მათ და თავისი პირადი მოქმედებით და ყოფა-ქცევით აძლევს მაგალითს არმიელებს.

ჩვენი წითელი მეთაური სავსებით ამართლებს თავის სახელწოდებას.

მუშა ან გლეხი მეთაური ყოველთვის თავს დასტრიალებს არმიელებს, ზრუნავს მათზე, ყოველთვის არის არმიელებთან როგორც ბრძოლაში, ისე დასვენების დროს.

მეთაურსა და წითელ არმიელს შორის გაბმულია მჭიდრო ამხანაგური კავშირი. წითელი არმიელი უჯერის მეთაურს, უსიტყვოდ ასრულებს ყველა მის ბრძანება-განკარგულებას და პატივსა სცემს მას.

წითელ არმიელმა იცის, რომ მისი მეთაური ისეთივე მშრომელია, როგორც თვითონ, და ამიტომ მისი ბრძანებით ყველაფერს გააკეთებს, დარწმუნებული იმაში, რომ მეთაური მას არ წაიყვანს ცუდი გზით.

მანევრებმა ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი არმიელის და მეთაურის ასეთ დამოკიდებულება-განწყობილებას.

— ამხანაგებო, დაისვენეთ. ვერა ხედავთ, ოფლი წურწურით ჩამოგდით სახეზე —ეუბნება მეთაური არმიელებს.

— არა, ამხანაგო მეთაურო, არ დავღლილვართ. ოფლი ეს ისე, სიცხისაგან არის. ჯერ კიდევ შეგვიძლიან დიდი მანძილის გავლა. როცა დავიღლებით, მოგახსენებთ — უპასუხეს არმიელებმა.

ეს ამბავი, პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი, მოხდა ოკამის გზაზე, მანევრების დროს. მეთაურმა მოისმინა რა არმიელის პასუხი, გაიქნია თავი, შემდეგ ამოუდგა გვერდში თავის ასეულს და გაუდგა მასთან გზას.

მომაგონდა ძველად ნახული ერთი ამბავი: უნტერ-ოფიცერმა დიდხანს ამაცადინა ჯარისკაცები ყაზარმის ეზოში. ჯარისკაცები დაიღალნენ. ოფიცერმა რომ შეამჩნია, ჯარისკაცები ზანტობენო, უბრძანა „სირბილით“ და იმდენი არბეინა, რომ ორს თუ სამს ჯარისკაცს გული წაუვიდა. ოფიცერი იდგა შორი ახლოს და იგინებოდა: „მაგრე გინდათ, თქვე ძაღლის შვილებო“.

ჩვენი წითელი მეთაური საკმაოდ არის გაწვრთნილი და შეუძლიან საჭირო დროს, ბრძოლაში, უხელმძღვანელოს და გაუძღვეს წინ თავის ნაწილებს. მას შეუძლიან განკარგულების დროზე გაცემა, მდგომარეობის სათანადოთ შეფასება.

მუხრანის ახლო სწარმოებდა გაცხარებული ბრძოლა.

„წითლები“ დიდხანს უმკლავდებოდნენ „ლურჯებს“ და არ ანებებდნენ მათ სოფელს.

„ლურჯებს“ დასჭირდათ ჯავშან ავტომობილების და ტანკების გამოყენება, რათა აეძულებიათ „წითლები“ დაეხიათ უკან და გაენთავისუფლებინათ სოფელი.

სოფლის განაპირას, ბუჩქნარში ჩასაფრებული იყო „წითლების“ არტილერია. ზარბაზნები და სავაზნე ყუთები ისე მოხერხებულად იყვნენ დათარული ხის მწვანე ტოტებით, რომ მათი შემჩნევა შეუძლებელი იყო.

წითელი არმიელები დიდის მზრუნველობით ანილაბებდნენ არტილერიას, მოჰქონდათ ტოტები და თავისი ხელით, მეთაურის მიუთითებლად ასრულებდნენ ყოველივე სამუშაოს.

ზარბაზნებიდან სროლის დროს, არმიელები არ უშვებდნენ მხედველობიდან არც ერთ წვრილმანს, გაფაციცებით ადევნებდნენ თვალ-ყურს მეთაურის ყოველ მიხვრა-მოხვრას, ყოველ მის მოძრაობას და ანაზდეულად ასრულებდნენ მის ბრძანებას.

ზარბაზნების ყუმბარა ხვდებოდა მიზანში. კმაყოფილნი იყვნენ არმიელები და მეთაურიც.

არტილერიისაგან ცოტა მოშორებით, მოზრდილი ბუჩქის ძირას, იდგა ტყვიამფრქვევლი ძეტყვისმფრქვევი გაფაციცებით იმზირებოდა მოწინააღმდეგის მხარესაკენ, თვალებით „სჭამდა“ არე-მარეს და შეამჩნევდა თუ არა საკბილო რამეს, მაშინვე აამუშავებდა თავის „მაქსიმას“.

გზათ მივდიოდი სად. ქსანისაკენ. გზის ორთავე მხარე სიჩუმით იყო მოცული. მეგონა, არავინ არის ამ მიდამოებში. შევჩერდი ცოტა ხნით წყაროს წყლის დასალევად და დავაკვირდი გზის პირას ბუჩქებს, რაღაც ფაჩუნი შემომესმა. მივუახლოვდი ახლო ბუჩქნარს და მხოლოდ მაშინ შევნიშნე, რომ ყოველ ბუჩქს ამოჰფარებიან წითელ არმიელები, ისე კი ადამიანს ეგონებოდა, რომ ეს ტრიალი მინდორი თავისუფალია ადამიანისაგან

დიახ, წითელი არმიელი საუკეთესო მებრძოლია, კარგად იცის მან ბრძოლის ხერხები და გამოყენება.

ტანკების მოულოდნელმა გამოჩენამ ბრძოლის ველზე არ დააფრთხო და დააბნია არმიელები. სათანადოთ გაუმკლავდნენ არმიელნი ამ საზარელ მანქანა-იარაღს. მათ კარგათ იციან ტანკებთან ბრძოლის საშუალებები.

ერთი მეთაური, რომელსაც დღეს გულს უმშვენებს წითელი დროშის სამი ორდენი, უამბობდა არმიელებს, რომ სამოქალაქო ომის დროს მისმა რაზმმა ხელთ იგდო ზედი-ზედ თეთრების ორი ტანკი.

ახალგაზრდა წითელი არმიელები სწავლობენ და ითვისებენ სამოქალაქო ომის გმირების მაგალითს, ჰბაძავენ მათ გმირულ მოქმედებას, ტრადიციებს.

არც ავიაციაა საშიში წითელი მებრძოლებისათვის.

როდესაც გამოჩნდებოდა ხოლმე ბრძოლის ველზე მოწინააღმდეგის თვითმფრინავი, არმიელები უთქმელად ეწინააღმდეგებოდნენ ადგილმდებარეობას, რომ უჩინარნი ყოფილიყვნენ მზვერავისათვის.

კინო-სეანსის დაწყების მოლოდინში, არმიელებს გაუხურებიათ ლეკური. წრის შუა-გულში კოპწიად ტრიალებს სოფლელი გოგო და ერთი არმიელი.

ხალხი ბლომად მოგროვილა ლეკურის საყურებლად. ისმის ტაშის ხმა, რომელიც ჰფარავს ჩონგურის ნაზ ჰანგებს.

მოხუცი გლეხები და გრძელკაბიანი ხანში შესული დედაკაცები შორიდან უმზერენ თამაშს.

— ფეფო, ი შენი გოგო არ არის, სალდათს რომ ეთამაშება?

— დახე ერთი ი გულმკვდარს, როგორა პროწიალობს. თამაში არ ეზარება და წყლის მოსატანათ კი წელი სწყდება. ეი მიწა კი მოგეყაროს შენა. ნახე, ნახე, როგორ უცინის იმ სალდათსა. მოიცადე რა დღე დაგაყენო, მოდი ჯერ სახლში. — ბრახობს ქალის დედა.

— რათა, ქალო, რათა ჯავრობ, მე შენ გითხრა, ურიგო სიძე გეყოლება, თუ კი შეირთო შენი გოგოი.

ამათ ლაპარაკში ერევიან დანარჩენი ქალები და ბოლოს ირკვევა, რომ ეხლანდელი „სალდათი“ ზრდილობიანი, კარგი სიტყვა-პასუხიანი, ნასწავლია, გინება არ იცის, ამის მაგივრად იცის წერა-კითხვა და საერთოდ ხელსაყრელი სიძეა.

— არა, ქა — ამბობს ბოლოს იმ ქალის დედა, რომელიც არმიელთან ცეკვავდა — მე ბიჭს კი არ ვიწუნებ, იმას ვამბობდი, რომ ჩემ გოგოს სახლში, მუშაობისათვის წელი სწყდება მეთქი.

მუხრანის მიდამოებში ბრძოლა რომ დამთავრდა, არმიელებმა თავი მოიყარეს მუხრანბატონის ყოფ. სასახლის ეზოში. სოფლელებიც ბლომად მოვიდნენ და ანაზდეულათ გაიცნეს ერთმანეთი არმიელებმა და გლეხებმა.

— ბიჭო ვანე, მე ფეხი მტკივა და შენ წადი გაიგე, როგორ იქნება გადასახადის საქმე წრეულ. უთხარი რომ, მოსავალი სეტყვამ გააფუჭა თქო. ამის მოწმობა ხომ გვაქვს აღმასკომიდან — გზავნის ერთი მოხუცი გლეხი თავის მოზრდილ შვილს არმიელებთან გადასახადის ამბის გასაგებად.

სოფ. ოკანში ერთი გლეხი ქალი გამწარებული ეძებდა ჯარის ექიმს. სახლში ავადმყოფი ჰყავდა მძიმე მდგომარეობაში.

— ერთი, თქვენი მარჯვენის ჭირიმე, დამეხმარეთ ამ ბოგირის გაკეთებაში, თორემ ვერა გავიტანია ზედა — მიმართა გლეხმა არმიელებს, რომლებმაც რამოდენიმე საათის განმავლობაში გაუკეთეს სოფელს ერთის მაგივრად, სამი ბოგირი.

მანევრები დაიწყო და მიმდინარეობდა დიდი აღფრთოვანებით.

წითელი არმიელები, მუშათა ათასეულები, წითელი-ჯვრის და წითელი ნახევარი მთვარის რაზმები, სამხედრო კოოპერაცია, რკინის გზა და მოსახლეობა — ყველანი თავისი ენერგიული მუშაობით ხელს უწყობდნენ მანევრების წარმატებით მსვლელობას.

---

მანევრებმა დაახლოვა და დააკავშირა ერთი მეორესთან ა.-კავკასიის რესპუბლიკების სხვადასხვა ერების წითელი ჯარის ნაწილები.

მანევრებში ქართველი, რუსი, სომეხი და თათარი არმიელები მუშაობდნენ ხელი-ხელ ჩაკიდებულნი, რუსი, სომეხი, თათარი არმიელები ეცნობოდნენ ქართულ სოფელს, ქართველ გლეხს.

წითელი დროშოვანი არმიის მანევრებმა ჩაუყარა მტკიცე და ურყევი საძირკველი ამიერ-კავკასიის ერთა ძმობას და მეგობრობას, მათ კავშირს, რაც აუცილებელია ამ ერების კეთილდღეობისათვის.

---

მანევრები — ჩვენი წითელი არმიის გენერალური გამოცდა — ბრწყინვალედ იქნა ჩატარებული.

ნამდვილ ბრძოლებში, რომელიც იწარმოებს ჩაგრულთა გასანთავისუფლებლად მშრომელი ხალხის მტრების წინააღმდეგ, წითელი არმია გაიმარჯვებს, გაანადგურებს მტერს.

ამის თავდებია წითელი არმიელის შეგნება, მისი საუკეთესო მომზადება სამხედრო საქმეში და ის ურყევი კავშირი, რომელიც დამყარებულია მშრომელთა და წითელ არმიელთა შორის.

ე. ხუციშვილი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 16. 1929 წ. 3 სექტემბერი

დროშა

# კომპარტიის ერთგული ჯარისკაცი



ამხ. ი. ფაბრიციუსი

F 749

**24 აგვისტოს, სოჭში, ჰაეროპლანის ავარიის დროს, ტრაგიკულად დაიღუპა ძველი ბოლშევიკი, რევოლიუციის თავდადებული ჯარისკაცი. ფაბრიციუსი შვებულებიდან კავკასიის წითელდროშოვან არმიის მანევრებზე აპირებდა გამომგზავრებას, მაგრამ ჰაეროპლანი აფრენისთანავე იძულებული შეიქნა დაშვებულიყო და ჩავარდა ზღვაში, ნაპირის მახლობლად.**

აღარა გვყავს ფაბრიციუსი, უაზრო შემთხვევისაგან დაიღუპა, ძველი ბოლშევიკი, არალეგალური მუშაკი, პროლეტარული რევოლიუციის უმამაცესი ჯარისკაცი, სამოქალაქო ომის გმირი, ნიჭიერი ორგანიზატორი, წითელი არმიის მეთაური, საყვარელი ადამიანი წითელარმიელთა მასებისათვის და ყველა იმისათვის, ვინც ახლოს იცნობდა იან ფრიცის ძე ფაბრიციუსს და ვინც მასთან ერთად მუშაობდა.

ფაბრიციუსი ერთ-ერთი საუკეთესო იყო იმ ბოლშევიკ-მეთაურთა რაზმიდან, რომლებიც გამოსჭედა თავის რიგებში მუშათა კლასის პარტიამ. ბოლშევიკური გამოწრთობა, თავდადებული სამსახური პროლეტარიატის საქმისადმი და უდიდესი გმირობა ბრძოლაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის,—ყველა ეს თვისება ახასიათებდა ფაბრიციუსს, კომუნისტური პარტიის ერთგულ ჯარისკაცს.

ფაბრიციუსი ყოველთვის იდგა მოწინავე პოზიციებზე, ცეცხლის ხაზზე და თავისი პირადი მაგალითით, თავდადებული სიმამაცით და აუღელვებლობით აღფრთოვანებას იწვევდა წითელარმიელთა მასებში, რომელთაც წინ მიუძღოდა ბრძოლებში.

სამხედრო დამსახურებისა და პირადი სიმამაცისათვის იგი დაჯილდოვებული იყო წითელი დროშის ოთხი ორდენით.

ფაბრიციუსი დაიღუპა ჯერ კიდევ ძალღონით სავსე, იმ მომენტში, როდესაც წითელ არმიას ბევრად უფრო, ვიდრე ოდესმე, ესაჭიროებიან მტკიცე ორგანიზატორები და მეცადინეობის ხელმძღვანელნი, რომელნიც იცნობენ წითელარძიელთა მასას, როდესაც მზადდება ,ხალი შემოტევა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ფაბრიციუსის სიკვდილი დიდი დანაკლისია წითელი აომიისა, პარტიისა და საბჭოთა კავშირის მშრომელთათვის. დავხაროთ ჩვენი საომარი, სოციალისტურ სამშობლოს საუკ,თესო შვილთა სისხლში მოსვრილი დროშები, მუშურ-გლეხური წითელი არმიის უმამაცესი და უერთგულესი მებრძოლის საფლავზე. დაე მისი გმირობა გზის მანა,იობელი ვარსკვლავი იყოს მთელი წითელი არძიისა და მთელი პროლეტარიატისათვის ახალი საომარი ქარტეხილების და ჩვენი პარტიის გამოცდების ჟამს.

**ი უნშლიხტი.**

## ი. ფ. ფაბრიციუსი

(ბიოგრაფია)

ამხ. იან ფრიცის ძე ფაბრიციუსი დაიბადა 1877 წელს ქალაქ ვინდავაში (ლატვია), მუშის ოჯახში. რევოლიუციონურ მოძრაობაში მონაწილეობას იღებდა ყმაწვილობიდანვე. 1903 წელს შევიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში (ბოლშევიკების). იმავე წელს პირველ მაისობას ამხ. ფაბრიციუსი დააპატიმრეს. 1904 წლის თებერვალს მეფის სასამართლომ მას მიუსაჯა ოთხი წლის საკატორღო მუშაობა. 1905 წლამდე ფაბრიციუსი იაკუტიასა და შორეულ აღმოსავლეთის ოლქებში იმყოფებოდა. 1915 წელს, როდესაც მეფის მთავრობა შეუდგა ლატვიელთა მსროლელი ნაწილების შედგენას, ლატვიის ბოლშევიკების პარტიის ც. კ.-ის წინადადებით ამხ ფაბრიციუსი ერთ-ერთ პოლკში შევიდა.

1917 წელს იგი არჩეულ იქნა საარმიო კომიტეტში, ხოლო 6 დეკემბერს ამ კომიტეტთან ერთად გადავიდა წითელი გვარდიის რიგებში.

საბჭოების მესამე ყრილობაზე ამხ. ფაბრიციუსი არჩეულ იქნა სრულიად რუსეთის ცაკის წევრად და რამდენსამე ხანს იქ მუშაობდა. გერმანელების შემოტევის დროს ამხ. ფაბრიციუსი რაზმებს მეთაურობდა პსკოვის რაიონში. ბრესტის ზავის შემდეგ ამ რაიონის საგანგებო სამხედრო კომისრად იყო. გერმანელებთან ბრძოლაში ჭრილობა მიიღო.

1919 წელს ამხ. ფაბრიციუსი მონაწილეობას იღებდა დენიკინთან ბრძოლაში. მან მოახდინა მამონტოვის რეიდის ლიკვიდაცია, დაინიშნა კიკვიძის სახელობის დივიზიის მე-48 ბრიგადის მეთაურად და მასთან ერთად მონაწილეობა მიიღო ლუგანსკისა და ნოვოჩერკასკის აღებაში; შემდეგ მოახდინა თეთრების დესანტის ლიკვიდაცია ტამანის ნახევარკუნძულზე და დაიჭირა ნოვოროსიისკი.

1920 წელს იგი გაგზავნილ იქნა პოლონეთის ფრონტზე, სადაც ნოვოგიორგიევსკამდე მივიდა.

პოლონეთიდან უკან დახევის დროს ამხ. ფაბრიციუსის ბრიგადა არიერგარდულ ბრძოლას აწარმოებს და არაერთხელ დააღწია თავი ალყას.

პოლონეთთან ზავის დადების დღეს ამხ. ფაბრიციუსი დაჭრილ იქნა. განკურნების შემდეგ, 1921 წელს, დაინიშნა 43 გაერთიანებული კურსების უფროსად და დასავლეთ ფრონტის საკურსანტო ბრიგადის მეთაურად.

1921 წლის მარტს ამხ. ფაბრიციუსი არჩეულ იქნა სრულიად რუსეთის კომპარტიის (ბ) მე-10 ყრილობისათვის, საიდანაც იგი კრონშტადტის ამბოხების ჩასაქრობად გაემგზავრა. მან 501-ლი პოლკის მეთაურობა იკისრა და ერთ-ერთი პირველთაგანი შეიჭრა კრონშტადტში.

1923 წლიდან ამხ. ფაბრიციუსი მეთაურობდა ბელორუსიის მეორე ტერიტორიალურ დივიზიას, მერე სწავლობდა უმაღლეს აკადემიურ კურსებზე, რომლის დამთავრების შემდეგ ჯერ დაინიშნა მსროლელთა მე-17 კორპუსის, მერე კი მეოთხე კორპუსის სარდლად და კომისრ,დ. 1927 წლის დამლევს გაიგზავნა უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობის გაუმჯობესების 10 კვირიან კ-რსებზე, რომლის დამთავრების შემდეგ დაინიშნა კავკასიის წითელდროშოვან არმიის ჯარების სარდლის თანაშემწედ.

ტრალიკულმა სიკვდილმა ამხ. ფაბრიციუსს ამ თანამდებობაზე მოუსწრო.

ამხ. ფაბრიციუსი ერთი იმ ოთხ.გმირთაგანია, რომლებიც დაჯილდოვებულ იქნენ წითელი დროშის ოთხივე ორდენით. პირველი ორდენი მან მიიღო პსკოვის აღებისათვის; მეორე—სმორგონის პოზიციების გარღვევისათვის პოლონეთის ფრონტზე; მესამე—კრონშტადტის ამბოხების ლიკვიდაციისათვის და მეოთხე—მარჯვე არიერგარდული ბრძოლებისათვის პოლონეთის ფრონტზე უკან დახევის დროს.

ამხ. ფაბრიციუსი - საკავშირო მთავრობის, ა.-კ. ს. ფ. ს.-რ-ის მთავრობის, საკავშირო კომპარტის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის და საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის წევრი იყო.

## ამხ. ფაბრიციუსის ხსოვნას

როდესაც მტრები ცეცხლს აჩაღებენ,
უნდათ აანთონ ტანჯულთ გულ მკერდზე,
მით გვაიძულეას მშრომელთა მასებს,
რომ ყველა ერთად წამოვდგეთ ფეხზე!

ხელში ავიღოთ ჩვენ იარაღი,
წითელ დროშებით დავსდგეთ საზღვრებზე,
ვით ქარიშხალი ავზიანქარდეთ...
და გავილაშქროთ მოსისხლე მტრებზე!

ამ დროს დავკარგეთ დიდი მებრძოლი,
წითელი ლაშქრის აწ ხელმძღვანელი;
სამოქალაქო ომში ნაწრთობი,
ალმშენებლობის მფარველ-დამცველი!

ის თვითშფრინავით ემზადებოდა,
ესწავლებინა ჩვენთვისაც ბრძოლა;
ცეცხლში თუ წყალში წინ მიიწევდა,
მან არ იცოდა შიში და ძრწოლა!

ამ გამოცდაში ბედმა უმუხთლა,
ზღვამ შეიწირა თავგანწირული;
რომ მტრის წინაშე უშიშრად დავსდგეთ,
იას გვიკარნახებს მებრძოლი სული!

ნუ უხარიანთ ხალხის მტარვალებს
ეს ჩვენი გლოვა და მწუხარება!
რომ იმის შემდეგ ჩვენ დავკნინდებით,
ვინც ამას ჰფიქრობს დიდათა სცდება.

ხავს მოკიდებულს ძივანგრ-მოვახგრევთ,
ძველის ადგილზე ახლებს ავაგებთ;
ვიდრე კაპიტალს ძირს არ დავამხობთ,
სანამ ქარქაშში ხმალს არ ჩავაგებთ.

დიდი ლენინის მიმდევრები ვართ,
ურყევ-უტეხი, რკინის გულისა;
ვით თვით ლენინი, ფრთების შემსხმელი,
პროლეტარული დიქტატურისა!

**ა. შინატ.ხელი.**

## ახალი გიგანტი



სატრაქტორო ქარხანამ, რომელიც ამჟამად იგება სტალინგრადში, მუშაობა გაშალა ამერიკულ ტემპით. უკვე არის იმის ნიშნები, რომ 1930 წლის 1 სექტემბერს ამუშავებულ იქნება პირველი სატრაქტორო ქარხანა საბჭოთა კავშირში.

სურათზე—მასალის მიწოდება მატარებლებით ახალ გიგანტისათვის.

# წითელი არმიის მანევრები



1) წითელარმიელები გლეხებშორის ბრძოლის ველზე გაზეთს ბეჭდავენ; 2) სურსათის მიმწოდებელი ნაწილი; 3) სროლის ვარჯიში; 4) მზვერავები; 5) ტყვია მფრქვეველთა ნაწილი; 6) კომანდირი წითლებს თოფის მნიშვნელობას უმარტავს; 7) იერიშის წინ; 8) ბრძოლის ველზე; 9) ტყვიამფრქვევი; 10) მტერს ჩაუსაფრდნენ.

# ისევ ელექტრონის სკამი

ა. ხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ამერიკის ბურჟუაზიამ ვერაგულად მოჰკლა საკო და ვანცეტი და ელექტრონის სკამი კვლავ ელოდება მსხვერპლს. მაგრამ ახლა კაპიტალისტები სიკვდილით ემუქრებიან არა ორს, არამედ 15 მუშას და არ მალავენ, რომ „მათი საქმე გათავებულია".

ლაპარაკია გასტონიაში (ჩრდ. კოროლინის შტატი) გაფიცულ ფეიქრებზე, რომელთაც ბრალს სდებენ პოლიციის უფროსის—ადერგოლდის მოკვლაში. არავითარი ბრალდების დამამტკიცებელი საბუთი არ მოიპოება, მაგრამ საფეიქრო ფაბრიკების პატრონები და გასტონიის ადმინისტრაცია ყოველ ზომებს ღებენ, რომ ბრალდებულები სიკვდილით დასაჯონ.

მიზეზი—იგივეა, რამაც საკო და ვანცეტი მიიყვანა ელექტრონის სკამამდე. მსხვილ კაპიტალს სურს სიკვდილის დასჯით შეაშინოს მუშები, რომლებმაც გაბედეს მასთან ბრძოლის დაწყება. მათ სურთ დაანახვონ მუშებს, რომ ყოველი გამოსვლის დროს კაპიტალის ბატონობის წინააღმდეგ თითეულ მუშას მოელის ელექტრონის სკამი, თუ მასზე შეჩერდა ჯალათების არჩევანი.

გასტონიის ფეიქართა გაფიცვა პასუხი იყო იმ საშინელ ყვლეფაზე, რომლის მსხვერპლნი არიან ფეიქრები სამხრეთ შტატებში. მრეწველები სარგებლობდნენ უმუშევრობით და მუშების შეუკავშირებლობით სამხრეთში და აიძულებდნენ მათ 10—12 საათი ემუშავათ დღეში. როცა აპრილის დასაწყისში გასტონიაში გაფიცვამ იფეთქა, მრეწველები დარწმუნებული იყვნენ, რომ გაფიცულები დიდხანს ვერ მოახერხებენ ბრძოლას და ამიტომ შეურიგებელი პოზიცია დაიკავეს.

მაგრამ ისინი მოსტყუვდნენ ანგარიშებში. მუშები აღფრთოვანებული იყვნენ ბრძოლის სურვილით, პროფკავშირების მემარცხენე ბელადებმა კი სულ მოკლე დროში მოახერხეს დიდი ორგანიზაციული მუშაობის ჩატარება მათ შორის. გაფიცვა, წინააღმდეგ მრეწველების მოლოდინისა, არა თუ არ სუსტდებოდა, არამედ ფართოვდებოდა და ედებოდა ჩრდ. კაროლინის სხვა ქალაქებსაც.

მაშინ მრეწველებმა გადასწყვიტეს შეცვლა თავისი პირვანდელი ტაქტიკის, რომელიც მდგომარეობდა გაფიცულთა დამარცხების ცდაში სიმშილის საშუალებით და ტერორს მიმართეს. დაიწყო გაფიცულთა მასიური დაპატიმრება, დაპატიმრებულთ სასტიკად სცემდნენ და აწამებდნენ. პოლიცია თავს ესხმოდა გაფიცულთა მცირე ჯგუფებსაც კი, ვითომდა იმ მიზნით, რომ გაეფანტა „კრებები", ესროდა მუშებს. მსხვერპლთა რაოდენობა იზრდებოდა დღითი-დღე

ამავე დროს ფაბრიკანტები შეუდგნენ გაფიცულთა გამოსახლებას ბინებიდან. ფეიქართა უმრავლესობა ცხოვრობს ფაბრიკანტების კუთვნილ სახლებში. ბინა ამ სახლებში მუშას ეძლევა იმ დრომდე, სანამ ის მუშაობს ამა თუ იმ ფაბრიკაში. სასამართლომ კი დაადგინა, რომ მუშებმა გაფიცვის გამოცხადებით



გასტონიის 15 ფეიქარს სასამართლო ბრალს სდებს პოლიციის უფროსის ადერგოლდის მკვლელობაში, თუმცა ბრალდების არავითარი საბუთი არ მოიპოვება. ბრალდებულებს საკო-ვანცეტის ბედი—ელექტრონის სკამზე სიკვდილი მოელით. სურათზე: გასტონელი ქალი მუშები მარჯვნიდან მარცხნით ვერა ბუხ, სოფია მენვინ (დგ-ს) და ემი შეხტერ.



ფრედ ბილ

მუშა ფეიქარი რომელსაც ბრალად ედება ფეიქართა გაფიცვის მოწყობა და პოლიციის უფროსის მოკვლა.

დაარღვიეს ეს პირობა. მრეწველები ფიქრობდნენ, რომ ეს ღონისძიება აიძულებდა ფეიქრებს განეახლებიათ მუშაობა. მაგრამ ამერიკის რემედასმა უბინოთ დარჩენილთათვის გასტონიის გარეუბნებში მოაწყო კარვები და ამრიგად გაფიცულებს მისცა თავშესაფარი.

რადგან კარვები ფაბრიკების ახლო იყო გაშლილი, გაფიცულებს საშუალება ჰქონდათ ხელი შეეშალათ, პიკეტების საშუალებით, შტრეიკბრეხერობის ცალკე შეთხვევებისათვის. ამის გამო პოლიციამ ნამდვილი თავდასხმა მოაწყო გაფიცულთა „კარვების ქალაქზე". პოლიციის რაზმი თავისი უფროსის მეთაურობით შეიჭრა გაფიცულების უბანში და ასტეხა სროლა, სცემდა ყველას, ვისაც გზაში შეხვდებოდნენ.

გამორკვეული არ არის, უპასუხეს თუ არა გაფიცულებმა. არ მოიძებნება იმის საბუთები, ფეიქრებს ჰქონდათ სასროლი იარაღი. სავსებით შესაძლებელია, რომ პოლიციის უფროსი მოჰკლა მისივე ხელქვეითების ტყვიამ. თავდასხმა ისეთ ველურ ხასიათს ატარებდა, რომ პოლიცილები ისროდენ უმიზნოდ, მარჯვნივ და მარცხნივ.

მაგრამ ხელისუფლებამ და ფაბრიკანტებმა ხელთ დაიხვიეს პოლიციის უფროსის მოკვლა და გაფიცულების წინააღმდეგ მიმართეს ბრძოლის ახალ საშუალებას: მათ მკვლელობა დააბრალეს. ეს შესანიშნავი საბაბი შეიქნა საკოსა და ვანცეტის საქმის გასამეორებლად.

ბურჟუაზიული „მართლმსაჯულების" მანქანა ამუშავდა. დაიწყო მუშების დაპატიმრება, აპატიმრებდნენ ყველას, ვინც ხელში მოხვდებოდათ. შემდეგ გამომძიებელი იწვევდა „მოწმეებს" და მათი ჩვენების მიხედვით დაპატიმრებულთ უყენებდა ბრალდებას. ზედმეტია მტკიცება იმის, რომ „მოწმეები" იყვნენ პოლიციის აგენტები, ჯაშუშები და პროვოკატორები. მაგრამ ამ „მოწმეების" ჩვენებაც არ იძლევა რაიმე ხელშესახებ საბუთს. ისინი „უჩვენებენ," რომ „რევოლვერი დაუნახეს ერთ დაპატიმრებულთაგანს", ან „გაიგონეს, რომ ერთი დაპატიმრებულთაგანი იყვიროდა: პოლიციის უფროსს მე ვესროლეო". „საბუთები", როგორც ვხედავთ, მაინცა და მაინც დამაჯერებელი ვერ არის, მაგრამ საკოსა და ვანცეტის დროს ამერიკის სასამართლოს განა უფრო სერიოზული საბუთები მოეპოებოდა?

კაპიტალისტებს სისხლი სწყურიათ და მისთვის ყველა საშუალებები კარგია. ჩრდ. კაროლინის საფეიქრო ფაბრიკების პატრონებმა ენერგიულად მოჰკიდეს საქმეს ხელი. მათ უკვე 500.000 მანეთი შეჰკრიბეს „15 მუშის პროცესის მოსამზადებლად". ყველასთვის ნათელია, თუ რისთვის არის საჭირო ეს ფულები: მოწმეების, მოსამართლეების და პრესის მოსასყიდად, საზოგადოებრივი აზრის „დასამუშავებლად". მუშების ახალი მკვლელობა მზადდება ჯალათების ხელოვნების ყველა წესების დაცვით.

ამერიკის მუშათა ორგანიზაციები ენერგიულ კამპანიას აწარმოებენ 15 გასტონელი ფეიქრის გადარჩენის მიზნით. მართალია, პოლიცია ჰფანტავს დაცვის კომიტეტის მიერ მოწვეულ მიტინგებს, ფოსტა-ტელეგრაფის სამინისტრომ აკრძალა კომიტეტის მოწოდებათა დაგზავნა ფოსტით, მაგრამ კამპანია მაინც ფართოვდება და მკვლელებისათვის არც ისე ადვილი იქნება თავისი გეგმების განხორციელება.

ამასთან ერთად მრეწველებმა ვერ მოახერხეს გაფიცვის ჩაქრობა. მუშები ერთსულოვნად აცხადებენ, რომ იბრძოლებენ სრულ გამარჯვებამდე.

# პიონერთა საკავშირო შეკრება



ამიერკავკასიის პიონერების დელეგაცია მატარებლიდან გადმოსვლის დროს



სომხეთის პიონერების დელეგაცია



ორჯონიკიძის კლუბთან არსებულ პრა-კერვის სკოლიდან გამოშვებული ახალგაზდა ოსტატები

19 აგვისტოს, მოსკოვის „დინამო"-ს სტადიონზე, მოხდა პიონერთა საკავშირო შეკრების გახსნა. გახსნას დაესწრო 12.000 პიონერი და 30.000 არაპიონერი.

პიონერებს მისალმებით მიმართეს შეკრების შტაბის თავმჯდომარემ ამხ. სევეროვამ, მთავრობის სახელით ამხ. რუძუტაკმა, საკ. კომპ. (ბ) ცეკას სახელით ამხ. კაგანოვიჩმა და სხვა. შემდეგ საბჭ. კავშირის სხვადასხვა კუთხეებიდან პიონერთა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა წაიკითხეს პატაკები.

პიონერთა შეკრებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომავალი თაობის აღზრდის შემოწმების საქმეში. როგორც ა. ხ. კაგანოვიჩმა განაცხადა თავის მისალმებაში „პიონერები არიან ის დასაყრდენი ძალა, რომლის საშუალებითაც შეიძლება მსოფლიო რევოლიუციის მოხდენა". ამიტომ საჭიროა რათა ახალგაზრდობის აღზრდა ხდებოდეს მარქსისტულ-ლენინური გზით, რათა მოვალი კადრები გამოვიდეს მედგარი და საბჭოთა კავშირის თავდადებულნი.

პიონერებმა შეჰფიცეს, რომ ისინი მუდამ მზად იქნებიან დაიცვან საბჭოთა კავშირის მშვიდობიანობა და თუ საჭირო იქნება სიცოცხლეც შესწირონ მისთვის.

მიტინგის შემდეგ პიონერები გაემართნენ მოსკოვის საბჭოს შენობისკენ დემონსტრაციით. ყოველივე ბრძოლებისათვის მზად ყოფნის დასამტკიცებლად.

# რუსთაველის თეატრის 1929/30 წლის სეზონი





ალ. ახმეტელი.

რუსთაველის თეატრის სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი.

რუსთაველის თეატრი მიმდინარე სეზონისათვის ფართო მასშტაბით ემზადება. თეატრის მიერ შემუშავებული საწარმოო გეგმა ცხოვრებაში ტარდება.

სეზონის გახსნა გადაწყვეტილია სექტემბრის მეორე რიცხვში, სეზონი გაიხსნება კარლ მარქსის პიესით „ქარის ქალაქი", რომელიც გადმოკეთებულია ს. შანშიაშვილის მიერ. ამავდროს მიღებული პიესებიდან მზადდება კიდევ ორი პიესა ... — „ანზორი" და ს. შანშიაშვილი — „ბრძოლა". უკანასკნელი პიესა დაწერილია კოლმეურნეობის ცხოვრებიდან. მოქმედება გადატანილია ქალაქში და პიესაში ნაჩვენები არის თანამედროვე სოფლის ცხოვრება.

მიმდინარე სეზონისათვის უკვე შემუშავებულია რეპერტუარი, რომელშიაც შეტანილია 12 სხვადასხვა პიესა. ამ პიესებიდან თეატრის არსებულ სამხატვრო საბჭოს გარჩევით სამი პიესა მიიღო და მათი მომზადება დაიწყო უკვე დაიწყო. ზემოთ ჩამოთვლილი სამი პიესის გარდა რეპერტუარში შედის: „შეუქცევლობა" — პ. სამსონიძის, „ცხრა მთაში" — პ. კაკაბაძის, „ყორღანი" — ს. შანშიაშვილის, „ჭანყა" (ბელგიელი კომპოზიტორის ტატიშვილი — ს. ლეკიაშვილის, „რიჟოაზი" — შაშმ ლეკვეიშვილის. უცხოელი ავტორებიდან კი თეატრმა თავის რეპერტუარში შეიტანა: „ერთეული" — ზაკის, „ბოცია" — ... და „ბაშილიბო" — ...

წელს თეატრი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პროლეტარულ მწერლების თეატრთან დაახლოებას. პროლეტარულ მწერლების თეატრთან დაახლოების მიზნით უკვე შედგენილი აქვთ მწერლის პიესების დაწერა პროლეტარულ მწერლებს — ... და პროლეტარულ მწერლებს — კოლექტივს.

ეს ერთი ცენტრალური ამოცანა, რომელიც მიმდინარე სეზონის დასაწყისისათვის სხვას რუსთაველის თეატრის წინაშე — ეს მუშა-მოწაფეების თეატრალური სექციის საკითხი. ამ საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ეს მუშა-მოწაფეებისათვის არ იქნება საჭიროებს თეატრში სიარულის. მათი თეატრი ვერ მიაღწევს თავის დანიშნულებას.

რუსთაველის თეატრმა იკისრა აგრეთვე ხელმძღვანელობა გაეწიოს ლენინის რაიონის თეატრის სამხატვრო მუშაობას.



ირ. გამრეკელი

რუსთაველის თეატრის მხატვარი მაკეტზე მუშაობის დროს.

[library stamp, illegible]

# რაფიელ ერისთავი

(დაბადებიდან 105 წლის შესრულების გამო).

რაფ. დავითის ძე ერისთავი დაიბადა სოფ. ქისტაურში 1824 წ. მის აღზრდაზე ზრუნავდა მისი დედა მაია ამილახვრის ასული. პატარა რაფიელ ცელქი იყო, დაუდეგარი, უყვარდა სოფლის ბიჭებთან ჭიდაობა, შაირობა. შემდეგ მიაბარეს შუამთის მონასტერში. სწავლა ჩინებულად დაამთავრა და გადაყვანილ იქნა თბილისში „კეთილშობილთა პანსიონში".

რაფიელს უმაღლესი სწავლა არ მიუღია. თვალების ტკივილმა აიძულა საშუალო ცოდნით დაკმაყოფილებულიყო.

ყმაწვილობის სიცელქე და ოხუნჯობა კარგა ხანს შერჩა. ჰქონდა საოცარი ნიჭი იმიტატორობისა. იცოდა სომხური და თათრული ენა.

მუდამ სადა, იგი ადვილად ეთვისებოდა სოფლელებს, მათგან იღებდა სიბრძნეს, სწავლობდა მცენარეულთა და ცხოველების სახელებს, ჰკრებდა ხალხურ თქმულებებს, ანდაზებს, გამოცანებს, შაირებს, სწავლობდა მათ ზნეჩვეულებას,—აქედან მისი ღირსშესანიშნავი ეთნოგრაფიული წერილები და სამი სამეფოს ლექსიკონი: ფლორა, ფაუნა, მინერალოგია.

რაფიელის სიკვდილის შემდეგ დარჩა დღემდე დაუბეჭდავი ქართული ლექსიკონი, რომელიც მემკვიდრეებს აქვთ ხელში. ეს ლექსიკონი გაცილებით სავსეა, ვიდრე საბა სულხან ორბელიანისა, რომელიც მისი რედაქტორობით გამოვიდა ერთხელ.

რაფიელის სახნავი მამულები იორისა და ალაზნის შუა იყო. ერთხელ მოურავმა მოახსენა:

— ბატონო რაფიელ, რა ვუყოთ, გლეხებს ძლიერ უჭირდებათ ღალის გადახდა!

— ან აქამდე რად გვაძლევდნენ?.. ყოველიფერი მაგათია... ეგენი შრომობენ, ჩვენ კი კარგი ლაზათიანი სახრე გვეკუთვნის, რომ ხელიდან ნაშრომსა ვტაცებთ...

მოხუცებაში როცა ასტმით გახდა ავად და სიკვდილის მოახლოვება იგრძნო, ანდერძი დასტოვა, უეჭველად თავის საყვარელ ქისტაურში დაემარხათ. იგი გარდაიცვალა თელავში 1901 წელს. ნათესაობამ და ხალხმა აასრულა მისი ანდერძი, თელავიდან ქისტაურამდე 18 ვერსის მანძილზე კუბო სულ მხრებით ჰზიდეს.

რაფიელი მშრომელი ხალხის მომღერალია. ამ მხრივ მას ბადალი არავინ ჰყავს და საჭიროა რევიზია, ახალი შეფასება, რომ მას ჯეროვანი ადგილი მიეკუთვნოს ჩვენს მწერლობაში.

## რ. ერისთავი, როგორც მეცნიერების მუშაკი

პოეტი რაფაელ ერისთავი, რომელიც ქართულ ლიტერატურულსა და საზოგადოებრივ ასპარეზზე 55 წელიწადი მოღვაწეობდა, ცნობილია, აგრეთვე, როგორც ეთნოგრაფი და ლექსიკოგრაფი.

პირდაპირ განცვიფრებას ეძლევა ადამიანი, როდესაც ეცნობა მის ეთნოგრაფიულ ნაშრომებს, რომლებიც უმთავრესად იმ დროის რუსულ ჟურნალ გაზეთებში ქვეყნდებოდა.

ეცნობით ამ წერილებს და გიკვირთ, როგორ შეძლო ამ ადამიანმა, სპეციალურ უმაღლეს განათლების გარეშე, საგნის ასე ღრმად შესწავლა და, იმ დროისათვის, ასე ზედმიწევნით ამოწურვა. საკმარისია ადამიანმა გადაათვალიეროს რამდენიმე მისი ნაშრომი, რომ დარწმუნდეს პოეტის ღრმა ერუდიციაში და მის გონებრივ ჰორიზონტის გაშლილობაში.

მუდამ სხვადასხვა სამსახურში მყოფი (გამოიცვალა ათამდე თანამდებობა) და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები რაფაელი უშუალოდ და ზედმიწევნით სწავლობდა ჩვენი ქვეყნისა და ერის სხვადასხვა საინტერესო მხარეებს და ისეთი ზედმიწევნით გადმოგვცემდა თავის დაკვირვებებს რუსულ სამეცნიერო ჟურნალ-გაზეთებში, რომ დღესაც არა ერთი სპეციალისტი მკვლევარი გრძნობს მისადმი მოწიწებას ისევე, როგორც რომელიმე ახალგაზრდა მხატვარი პოეტის თანამოსახელე დიდი რაფაელის სამარადისო ტილოების წინაშე.

ყოველივე მისი წერილი ეთნოგრაფიულ, გეოგრაფიული, ეკონომიური, თუ სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით გაშუქებული ისეთ ნათელ სახეებად იშლება, როგორც მისი საალერსოდ გამზადებული ურემი.

ამ მხრივ, მეტად საყურადღებოა და ეთნოგრაფიულ მეცნიერებისათვის დღესაც ფასდაუდებელი საუნჯე მისი შენიშვნები, განსაკუთრებით, ხევსურეთზე, სვანებზე, თუშ-ფშაველებზე და მეგრელებზე.

მისი ნაშრომებით უსარგებლია არა ერთ უცხო მკვლევარს და თანამედროვე ქართველი ეთნოგრაფები ს. მაკალათია, გ. ჩიტაია და სხვ. ისევე დამოკიდებულნი არიან ნაწილობრივ მისგან, როგორც პოეზიაში ძმანი რაზიკაშვილები, შიო მღვიმელი და გრიგოლ აფშინაშვილი.



**რაფაელ ერისთავი**

ეს სურათი აღმოაჩნდა რაფიელის ქალიშვილს ანასტასია კახიძისას რომელიც ამ სურათზე რაფიელს ხელში უჭირავს და ეხლა არის 62 წლისა.

მისი კრიტიკული შენიშვნები გ. რადდეს მონოგრაფიაზე „ხევსურეთი და ხევსურები" ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში დღეს ც სანიმუშოდ რჩება. ამ შენიშვნების გაცნობის შემდეგ მკითხველმა აღარ იცის რას უფრო მეტი ღირებულება აქვს: რადდეს მთლიან მონოგრაფიას, თუ ამ, ერთის შეხედვით, მცირე შენიშვნებს.

სხვა მის წერილებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ: იმერეთის აღწერილობანი სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით, შენიშვნები სამეგრელოს გლეხთა და სათავადაზნაურო წოდებათა შესახებ, ქართული ქორწილი და სვანეთის ეთნოგრაფიული აღწერილობანი.

არა ნაკლებ ძვირფასია და დღემდის მეცნიერულ ღირებულებას მოუკლებელი რ. ერისთავის სალექსიკოგრაფიო მუშაობა.

მისი „მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი: მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან", რომელიც 1884 წელსაა გამოცემული, დღემდის ერთადერთი ლექსიკონია ამ დარგში „შემწეობის მიმცემი სწავლის მოყვარეთა ქართველთათვის".

მართალია ზოგი რამ ლექსიკონში რაფიელს აუხსნელი დარჩა, და ძალიანაც წუხდა, რომ ეს ასე მოხდა, მაგრამ თვით ის გარემოება, რომ ამ ადამიანმა შეძლო სამივე ბუნების სამეფოთა თუნდაც მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინურ ლექსიკონის შედგენა და მერე იმ დროს, როდესაც არ არსებობდენ სპეციალური ქართული სამეცნიერო დაწესებულებანი,—მხოლოდ განცვიფრებასა და მოწიწებას იწვევს, ისევე როგორც მისი ეთნოგრაფიული და სოციალ-ეკონომიური ხასიათის წერილები. ლექსიკონის დიდ ღირსებას ის გარემოებაც უწყობს ხელს, რომ ავტორი სამთავე ბუნების სამეფოთა სახელწოდებებს სხვადასხვა კილოებზე წარმოგვიდგენს.

ამასთან, არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ლექსიკონი იყო პირველი ცდა და რაფაელს ხელთ არა ქონდა ივანე ბატონიშვილის ნაშრომი ამავე საგანზე, რომელიც ამჟამად საქართველოს მუზეუმის ბიბლიოთეკაში ინახება.

ამისდა მიუხედავად, საქართველოს ფლორისა და ფაუნის შემდეგი დროის მკვლევარნი (ი. მედვედევი, ა. როლლოვი, ივ. ჩხიკვიშვილი და სხვ.) უხვად სარგებლობენ რაფაელის ლექსიკონით თავიანთ სპეციალურ ნაშრომებში.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ რაფაელის ღვაწლი იმ დიად ძეგლზე, რომელიც სულხან-საბა ორბელიანმა დაუტოვა ქართულ მეცნიერებას.

რაფაელ ერისთავი იყო პირველი და ერთადერთი რედაქტორი იმ ძვირფას შრომისა, რომლის მეორე გამოცემასაც 2 პროფესორის და 2 ასპირანტის ძალღონე დასჭირდა.

მართალია ლექსიკონის პირველ გამოცემას ჩვენ ვერ მივიჩნევთ უნაკლოდ ისევე, როგორც მეორე გამოცემასაც, მაგრამ აქ ეს გარემოება კი არ არის ანგარიშ გასაწევი, არამედ ის, თუ რა განზრახვები, რა მიზანი ამოქმედებდა ლექსიკონის პირველ რედაქტორს ამ მეტად რთულ სამუშაოს რომ იწყებდა.

აი რას წერს თვით რაფაელი ამის შესახებ იმ სპეციალურ წინასიტყვაობაში, რომელიც წინ უძღვის ლექსიკონს და რომელიც არის აგრეთვე საყურადღებო მონოგრაფია სულხან საბას მოღვაწეობის შესახებ:

„ახლანდელ ზოგიერთი ჩვენი ლიტერატორების ნაწერებში შერეულა უცხო ენის სიტყვები, რომლების სამაგიერონი და უფრო ნამდვილი მოიპოებიან სულხან ორბელიანის ლექსიკონში. მაშასადამე ეს ლექსიკონი რომ ყოფილიყო აქნობამდის დაბეჭდილი და გავრცელებული, მაშინ უცხო სიტყვები აღარ შეამღვრევდა ქართულ ენას, რადგან თვით ამ ენაზედ მოიპოებიან ჯეროვანი და უფრო მარჯვე სახელწოდებანი".

ეს მიზანი ისეთი დიდი იყო იმ დროინდელ საზოგადოებისათვის, რომ რა ნაკლიც არ უნდა გამოძებნონ დღევანდელმა ლექსიკოგრაფებმა,იგი, ლექსიკონის ღირსებებთან შედარებით, მაინც კენტად დარჩება.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იმ დროს ყველას არ ქონდა, თუნდაც ნივთიერი საშუალებანი, რომ ლენინგრადის აკადემ. ბიბლიოთეკაში ემუშავნა, სადაც ლექსიკონის № 956 ხელნაწერი ინახება. სულხანის ლექსიკონებს საქართველოში ჯერ კიდევ არ ესხდა წ. კ. ს. მ. და ს. ს. ს. მ. №№, ხოლო დახშული „საწიგნეები კერძოთა პირთა" არც ასე ადვილად იხსენებოდენ...

რაფაელმა ამის და მიუხედავად, შეძლო შეეკრიბა რამდენიმე ხელნაწერი ლექსიკონი ს. ს. ორბელიანის, შეუთანასწორა ერთმანეთს და, ამ რიგად შევსებული, გამოსცა 1884 წელს.

სახელგამი და ქართული სამეცნიერო საზოგადოებანი უკეთეს ძეგლს ვერ დაუდგამენ რაფაელს, მის დაბადებიდან 105 წლის თავის აღსანიშნავად, როგორიც იქნება რუსულ ჟურნალ გაზეთებში გაბნეულ, მის ეთნოგრაფიულ და სოციალ-ეკონომიურ ხასიათის წერილების კრებულის გამოცემა.

**სოლ. იორდანიშვილი.**



პარტიზანელი ოსი



მემაწვნე

ნახატი მუშა ალექსანდრე ზასუევისა

# მზის სახლი

ჯანმრთელობის კომისარიატის დავალებით, ინჟ. უ ს ო ვ მ ა შეადგინა ახ ლ სინათლის სამკურნალოს პროექტი, ე. წ. „მზის სახლი“.

ამ სახლის მთავარ თვისებას შეადგენს ის, რომ მზის სხივები თავისუფლად აღწევენ ყველა ოთახებში, მთელი დღის განმ ვლო აში, მიუხედავათ იმისა, თუ რომ ლ მხარეზე მდებარეობენ ისინი.



მზის სახლის პროექტი

შენობა წარმოადგენს სწორ თორმეტკუთხედს, რომლის ცენტრში მოთავსებულია ერთი დიდი ოთახი, რომელსაც გარშემო შემორტყმული აქვს დანარჩენი, უფრო პატარა ოთახები. ცენტრალური ოთახი, დანარჩენ ოთახებზე გაცილებით მაღალია და მისი სახურავი, თავისი დიდი ნაწილით, სხვა ოთახების სახურავებზე მაღლა სდგას. ცენტრალურ ოთახს აქვს ფანჯრების ორი რიგი. ერთი რიგი მოთავსებულია იმ ნაწილში, რომელიც სხვა ოთახებზე მაღლა სდგას, ხოლო მეორე რიგი გადის დანარჩენ ოთახებში. ფანჯრები ყველა ერთი ზომისაა და აქვთ ერთი მეტრი სიმაღლე და ორი მეტრი სიგანე.

ასეთი კონსტრუქციის წყალობით მზის სხივები აღწევს ყველა ოთახებში. ასე მაგალითად, დილით, მზის ამოსვლისას მზის სხივები შედის აღმოსავლეთით მდებარე ოთახებში, ხოლო აქედან ფანჯრების საშუალებით ცენტრალურ ოთახში და დასავლეთით მდებარე ოთახებში. იგივე მეორდება მზის ჩასვლისას, ოღონდ პირიქით.

ამისთანა „მზის სახლს“ აქვს კიდევ შემდეგი უპირატესობანი. მისი ოთახები მაქსიმალურად განათებულია დილის და ნაშუადღევის მზის სხივებით, ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს სამხრეთის სანატორიუმებისათვის, სადაც მზის სხივების სარგებლიანობა შუადღისას გაცილებით ნაკლებია ვიდრე შუადღემდე და ნაშუადღევს.

კედლები და ნივთები ოთახებში განათებული ყოველმხრივ. ამიტომ არის, რომ ამ შენობაში არ შეიძლება იყოს სარდაფის ატმოსფერა, რაც ხშირია ჩვეულებრივ შენობებში, რომელთა ფანჯრები სამხრეთით არ არის მიქცეული.

ამ სახლის ოთახებში არ არის არც ერთი დაჩრდილული ოთახი. ამიტომ იქ ვერ ბუდობს ბაქტერია.

ასეთი კონსტრუქციის სახლი საშუალებას იძლევა არ იქონიოს კორიდორები. თვითეულ ოთახს აქვს ორი კარი. ერთი მათგანი გადის ვერანდაზე ხოლო მეორე ცენტრალურ ოთახში, რის გამო თვითეული ოთახის მცხოვრები სრულ იზოლიაციაშია.



სახლის გეგმა

ასეთი სახლის აგების სირთულე ადვილდება იმ მხრივ, რომ იგი შეიძლება აგებულ იქნეს რამდენიმე წლის განმავლობაში. შეიძლება აიგოს ჯერ მხოლოდ ჩონჩხი ცენტრალური ოთახით. გვერდის ოთახების მაგიერათ კი გადახურული ტერასა, რომელიც შემდეგ შეიძლება გადაკეთდეს ოთახებათ, საჭიროების და მიხედვით.

# ქალების მონაწილეობა მანევრებზე



ბრძოლის ველზე მოწყალე დები და მებრძოლი ქალები

# პროლეტარული ახალგაზრდობის ბრძოლის დღე

კანდიდ

მსოფლიო სწრაფი ნაბიჯით უახლოვდება ახალ იმპერიალისტურ ომს. სინამდვილის ჯიუტ ფაქტებზე იმსხვრევა პაციფისტური ილიუზიები. მწვავდება ურთიერთობა საერთაშორისო მტაცებელთა შორის, დაუძლეველ წინააღმდეგობაში იხლართება ძირგამომპალი კაპიტალიზმი...

აღმოსავლეთში, იქ სადაც ჩინეთის ხალხი წლების განმავლობაში იბრძოდა განთავისუფლებისათვის, თარეშობს საზიზღარი რეაქცია, რომელიც თავის ბატონ-პატრონის — ევროპის და ამერიკის კაპიტალის მითითებით ცდილობს ომში ჩაბას პროლეტარული სახელმწიფო. შორეულ აღმოსავლეთში აუტანელ წერტ ლამდე ხურ დება პოლიტიკური ატმოსფერა, დროგამოშვებით ინთება კიდეც ომის რიურაჟები...

ამგვარ პირობებში უხდება მსოფლიო პროლეტარულ ახალგაზრდობას თავისი საერთაშორისო დღის მე-15-ჯერ ჩატარება. ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე, წარმოშობილი გამანადგურებელი ომის პერიოდში, მუდამ ანტიიმპერიალისტურ, ანტიმილიტარისტულ ხასიათს ატარებდა. ამ დღეს რევოლიუციონური ახალგაზრდობა ყოველთვის მტკიცე ნაბიჯით გამოდიოდა ქუჩებში და მძლავრი ხმით აცხადებდა პროტესტს არაადამიანური ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ.

დღეს, როცა ერთად-ერთ სოციალისტურ ქვეყანას ცეცხლის რკალში მოქცევით ემუქრება კაპიტალისტური ჯოჯოხეთი, კიდევ უფრო მრისხანედ უნდა გაისმას მსოფლიო პროლეტარული ახალგაზრდობის გამაკრთხილებელი ხმა... ეს ასეც მოხდება: ახალგაზრდა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით დღეს ბურჟუაზიულ ქალაქების ქუჩებს დაფარავს ნორჩი პროლეტარიატის დემონსტრაციები, რომელთა დროშები და პლ კატები ყველას გარკვევით ეტყვიან: „ჩვენ დავიცავთ საბჭოთა კავშირს“...

პროლეტარული ახალგაზრდობა მართლაც იბრძოლებს თვისი სამშობლოს — ს. ს. რ. კ.-ის დასაცავად. ამაზე ლაპარაკობს ფრანგ კომკავშირელთა დაუღალავი ანტიმილიტარისტული მუშაობა საფრანგეთის ჯარებში, მათ მიერ მოწყობილი ჯარის კაცთა ამბოხებები და სხვა, ამაზე ლაპარაკობს ნორვეგიის, შვეციის, გერმანიის კომკავშირელთა ანტი-იმპერიალისტური პროპაგანდა.

ჩვენ კი, გამარჯვებული პროლეტარიატის ქვეყნის ახალგაზრდობამ, საერთაშორისო დღეს სხვა ელფერი უნდა მივსცეთ. ჩვენ პირველყოვლისა უნდა გავსინჯოთ ჩვენი პოზიციები დიადი სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე, შევამოწმოთ ჩვენი მზად ყოფნა ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად, განვამტკიცოთ მშრომელ ახალგაზრდობის ინტერნაციონალური კავშირი...

დემონსტრაციები, რომელსაც აწყობს ს. ს. რ. კავშირის ახალგაზრდობა, ეს იქნება დემონსტრაცია ახალგაზრდობის მიღწევებისა წარმოებაში, სოციალისტური შეჯიბრების ჩატარებისა, თვითკრიტიკის გაშლა-გაფართოებისა გასამხედროების და სხვა დარგში.

მე-15 საერთაშორისო დღე კომუნიზმის ნორჩი არმიის ძალათ საერთაშორისო დემონსტრაციის დღეა. ამ დღეს ქუჩები ახალგაზრდა რევოლიუციონერებს ეკუთვნის...



გლეხის ქალი საოჯახო მუშაობაზე

ს. ნდრო შანშიაშვილი

# მემანქანე სიკო

(გაგრძელება)

ჯერ გლეხები სალეწზე მოსულნი არ იქნებოდნენ ხოლმე, ცოტაოდენი ორთქლით ქვაბს გაამზადებდა, რომ დარწმუნდებოდა ძალიან ადრე იყო, იქვე ნამჯაზე თავს მისდებდა და სიკო მცირე ხანს ჩაიძინებდა.

ცაში რომ ნათელი ჩაკარდებოდა, წამოხტებოდა, მანქანას შეაყვირებდა და ისეთ ზარს დასცემდა, რომ ახლომახლო სოფლებს ფეხზე დააყენებდა: „მოდით! მოდით! სანამ გრილა, ვიმუშავოთო“!

ამდენი წლის პრაქტიკამ გააბედინა სიკოს ერთი ძველი, დანჯღრეული სალეწი იჯარით აეღო.

რემენიც ხომ იშოვა!

ეხლა მის ბედს ძაღლი ველარ დაჰყეფავს!

—სალამო ხანზე რემენი სალეწზე მიიტანა.

მის ამხანაგს მათეს და ორს ძნის მიმწვდენს სიკოს მისვლა გაუხარდა—იქვე იყო გიგო, სიკოს დეიდაშვილი, რომელსაც გაეგო: სიკოს მანქანა აულია და ხორბალი ექნება გასაყიდიო, წამოსულიყო ოჯახისთვის ზამთრის სარჩოს შესაძენად. თან წამოეღო ერთი ბოთლი არაყი, ხახვი, ნიორი და რამდენიმე შოთი პური.

ვახშამზე დასხდნენ, სხვა გლეხებიც შემოესწრნენ. ესენი იყვნენ ძნის პატრონები, რომელნიც ჯერს კითხულობდნენ. ეს ერთი ბოთლი არაყი გამოცალეს, ნიორსა და ხმელ პურს ისე მადიანად შეექცეოდნენ, თითქოს დეკეულის ხორცს მიირთმევდნენ.

იქვე ახლო დუქნიდან ღვინის მოტანა დააპირეს, მაგრამ გადაიფიქრეს—უფრო კი დაღლილებს წასვლა დაეზარათ, თორემ მედუქნედან ნისიად სხვა დროსაც წამოუღიათ, და სიხარულით მიუცია, რადგან ხელადა ღვინოში ახალზე ერთს ფუთი ხორბალს პირდებოდნენ (ახლად მოსულ ხორაბალზე).

დაღლილმა სიკომ თავით რემენი დაიდო, ჯერ ნამჯა, მერე საცალო დაიფინა, ზევიდან ტომარა წაიხურა ერთი დაამთქნარა... სხვები კიდევ ზღაპრებს ამბობდნენ... და ხვრინვა ამოუშვა. ჰხედავს სიზმარს: სალეწზე გაცხარებული მუშაობა აქვთ. ხორბალი მოდის და მოდის. ივსება ტომრები. აწონას ვერ ასწრებენ... მინდის ტომრები გაივსო... სიკოს უხარიან... ძილში იცინის...

სიკოს გამოეღვიძა.

ჯერ კიდევ ერთი პირი ღამე იყო და სოფლებში მამლებს არ ეყივლათ, სიკო უკვე ფეხზე წამოდგა და მანქანას ნამჯა შეუკეთა: ხანდახან დაისვენებდა, სქელ ქაღალდში პაპიროზს გაახვევდა, კუნძზე ჩამოჯდებოდა და ფიქრს მიეცემოდა.

მისი ფიქრი ისეთივე სასიამოვნო იყო, როგორც იმ ღამინდელი სიზმარი.

ირაჟრაჟა და მანქანაც შეაყვირა.

მანქანის პირველი გაშვების დღე იყო და მლეწავები მალე მოვიდნენ.

გალეწვის პირველი ჯერი ვისიც იყო, მხოლოდ ის არ სჩანდა.

კაცი გაუგზავნეს დასაძახებლად.

კაცმა ამბავი მოიტანა: ტყეში ძროხა გაჰქცევია და იმას გამოსდგომიაო!

ნამდვილად კი პირველად დაყრა არ უნდოდათ „ხორბალი მანქანაში ჩარჩებაო“!

სიკო ეფიცებოდა:

— კაცო მანქანაში არაფერიც არ ჩარჩება, თუ არა და, მინდს არ ავიღებ, სხვამ დააყაროს, ამ გრილს დღეში ნუ მოვცდებით. პირველი დღეა, ნუ დაგვზავსავთ...

ერთი მოხუცი, თავზე ხელცახოცწაკრული, თაიაზე ავიდა.

მანქანამ გუგუნი დაიწყო.

ძნა-ძნაზე მიდიოდა:

ოცამდე მუშა ტრიალებდა.

ერთი საათი განუწყვეტლივ იმუშავეს და რემენი და რძელდა. იძულებული იყვნენ შე ჩერებინათ და დაემოკლებინათ.

დაამოკლეს, გადაუბეს და იმ დღეს განუწყვეტლივ იმუშავეს.

სიკოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

მაგრამ ეს სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა.

ლეწვას ერთს კალოზე მორჩნენ.

მეორეზე გადაიტანეს.

რემენი აუბეს და დაიწყეს მუშაობა.

გახურებულ მუშაობის დროს რემენი ორ ალაგას გაწყდა.

სიკომ უმალ მოიმარჯვა სადგისი, კოპი და გადაკერა.

ეწვალნენ და რემენი ველარ წამოსდეს..

მოკლე მოსვლოდათ.

ისევ გადახსნეს.

რამდენადაც ჩქარობდა, იმდენად თოთხარდებოდა.

რემენი კი დააგრძელა, მაგრამ ახლა უკულმა გადაეკერა.

კიდევ გადახსნა.

როდესაც მორჩა მუშაობას, რემენს დაუკვირდა:

ნახა, რომ რემენის საქმე წასული იყო.

რამდენიმე ალაგას გაწყვეტაზე იყო.

თურმე პატრონს ნესტიან ადგილს შეენახა და ნესტისაგან აქლემის ყელისგან მოქსოვილი რემენი ჩამპალიყო, გარეგნული შეხედულებით თითქოს არაფერი ეტყობოდა, მაგრამ სიკო გრძნობდა, რომ რემენი სანდო აღარ იყო.

ააბეს და მანქანა გაუშვეს.

როდესაც საკმარისი ძნა მისცეს, რემენი კიდევ გაწყდა.

და ასე მუდამ წყდებოდა და დღეში სამს საათს ველარ მუშაობდნენ.

— თორმეტი თუმანი უნდა მივცე ამ ოხრის გამოცემულში და გამომდგარი იყო მაინც!!

ორი კვირა დაიტანჯნენ. ველარაფერი იმუშავეს...

ხარჯი ხარჯს ემატებოდა და შემოსავალი კი არსად იყო.

მარტო წვრილი მოვალეები საქმეს უჭირებდნენ:

— მაცალეთ, ხალხო, გაგისტუმრებთ! ვერ ჰხედავთ, რა დღეში ვართ?—ეუბნებოდა სიკო გაოფლილი და მტვერში ამოსვრილი. ტანზე პერანგი და ეცვა და ისიც დახეული.

ახალი ნაყიდი ტილოს ბლუზა სალეწ მანქანას მოახმარა, რადგან საცრების ადგილას, სადაც ხორბალი ჩამოდის და ნიავდება ძველი ტილო გაცვეთილიყო.

ბევრი იფიქრა რა უშველოს რემენს! ბოლოს იყიდა ხარის დაშოლტილი ტყავები და ძველ რემენს ზევიდან წააკერა.

ამ რემონტს მორჩნენ. მეორე დღეს მუშაობა უნდა დაეწყოთ.

შუაღამისას წამოვიდა კოკისპირული წვიმა.

სალეწზე მყოფი მუშები ზოგი ნამჯაში შეძვრა, ზოგი ახლო სოფელში გაიქცა და ზოგიც სალეწს შეეფარა.

ალებულ მინდს აუარებელი ნამჯა წააყარეს მაგრამ წვიმას მაინც დაესველებინა.

ერთი კვირა ილრუბლა და იწვიმა.

რამდენიმე საათით გამოიდარებდა და ის იყო, ქვაბს შეუკეთებდნენ, რემენს გადასდებდნენ და ისევ წვიმა დაუშვებდა. წვიმისგან რემენიც თანდათან ფუჭდებოდა.

— ეს პატრონ დავსილი, ამინდიც მე მეჯიბრება?

იტყოდა ხოლმე გაბოროტებული სიკო.

ბოლოს გამოიდარა და მზემ დააჭირა.

ალებული მინდი ნახეს—ჩახურებულიყო, თითქოს ცეცხლი მოსდებოდა; ბრეზენტები არ ჰქონდათ, რო მზეზე გაეშროთ და ის ხორბალი სულ გაუფუჭდათ.

სიკოს დარდი აწვებოდა; ხანდახან ფიქრებში წასულს გული ყელში მობჯენია და თვალებზე ცრემლები წამოსდგომია. მაგრამ მაინც იმედი არ დაუკარგავს...

ებრძოდა ბუნებას, გაჭირვებას, ხელმოკლეობას, დაწყვეტილ რემენს და დანჯღრეულს მანქანას.

მანქანა ჯერ რომ დასველდა და მერე მზემ დახედა, მთლად მოეშვა.

ლაწლაწებდა, თავს ველარ იჭერდა.

ბოლთი ხან ერთ ადგილას გამოსძვრებოდა და ხან მეორე ადგილას.

ჩამობღლერძილი, ჩამოწეწილი, ფეხშიშველა, პირდაუბანელი, მშიერი შეძვრებოდა სალეწ მანქანაში ჩვენი გაუტეხავი სიკო და ოსტატობდა.

ხან ლურსმებს აკრედა, ხან ფიცრებს

ერთხელ ასე სალეწში შემძვრალიყო. რემენი არ გაეგდოთ, სიკოს თანაშემწეს ეგონა მუშაობას მორჩაო და მანქანა გაუშვა

სიკო შიგნიდან ბევრს ყვიროდა გააჩერეთო, მაგრამ ხმაურობაში არავის ესმოდა.

დაბეგვილი, დაქექილი, რამდენიმე ალაგას ტყავგადაყვლეფილი წვალებით გამოძვრა.

რამდენიმე ხანს ძნებზე იყო მისვენებული.

გლეხებმა მაწონი ოუტანეს და მოასულიერეს.

შემდეგ მუშაობის დროს ხან დამპალი რემენი წყდებოდა და ხან სალეწს რომელიმე ხის, თუ რკინის ნაწილი გამოსძვრებოდა.

სიკო დურგლის და ადგილობრივ მჭედლის დახმარებით შეაკეთებდა და რომ იტყოდნენ: ხვალ დავიწყებთ გამუდმებით მუშაობასო, ჯიბრზე ასტყდებოდა ელვა-ქუხილი და სამს დღეს მაინც იწვიმებდა.

ისეთი საქმე გაუხდათ, რომ სალეწი მანქანის „ბატონ-პატრონებს“ საჭმელი პურიც კი აღარ ჰქონდათ.

სიკომ სადღაც რამდენიმე თუმანი ისესხა იმ დაპირებით, რომ ხორბალს ავიღებთ და გაგისტუმრებთ— იოლას წავიდნენ. ერთს დღეს მშვენიერ დ დაიწყეს მუშაობა. სიკო გულში ილიმებოდა.

— ავიტან ზარალს, ოღონდ ასე ერთი ორი კვირა ვიმუშავოთ:

წინად სამი თვის იმედი ჰქონდა!

როგორც იყო ასი ფუთი ხორბალი მოაგროვა, ტომრები ითხოვა, დაუდო ურემზე და თავის დეიდაშვილს გიგოს წნორის წყალზე გაატანა გასაყიდათ, რადგან ფული სჭირდებოდა, მოვალეებიც აწუხებდნენ და საჭირო მასალის ყიდვაც უნდოდა.

გიგომ ეს ხორბალი გაყიდა, ფუთი თვრამეტ შაურად.

წავიდნენ მაღარიჩის ჩამოსასხმელად.

მედუქნე ისეთი კაცი იყო, რომ თუ ვინმეს ფულს შეაგულებდა, ათასნაირ თილისმა-ლაპარაკით დაათრობდა და მერე გამვლელ-გამომვლელს თვითონვე ეძახოდა, რომ ამდენ მიმსვლელ-მომსვლელებში ანგარიში მხარჯავს არეოდა და როგორც უნდოდა, ისე გაეფცქვნა.

ასეთი დღე დაადგა გიგოსაც.

სუფრაზე ჯერ ორნი ისხდნენ.

მერე დუქნის პატრონი შეუერთდა.

შემდეგ დახლინდარი.

დახლიანდარს მოჰყვა მზარეული და შემოსძახეს მრავალჟამიერ. სიმღერა გამღერმა გაიგო და დუქანში შეტრიალდა. ნაცნობი გამოდგა — მიიპატიჟეს, შემდეგ განცებ საზანდრებიც მივიდნენ, იქნებ ჩვენც რამე დღიური ვიშოვოთო და გაიმართა ქორწილის მსგავსი სუფრა. გიგოს ეგონა, ორი ან სამი თუმანი იქნებოდა დანახარჯი.

მედუქნემ ჩოტკი გაუსვ-გამოუსვა, ზოგჯერ ზედმეტი ჩავიდა, ზოგჯერ ვითომ ხათრით მოსჭრა და მეორე დღეს, როდესაც ნაბახუსევი გიგო არაყს სვამდა და მჟავე კიტრს ატანდა, ასი მანეთის დანახარჯი ჩაურტყა.

გაყიდულ ხორბალში ალებული არც კი ეყო, ზოგი თავისიც დაუმატა და რამდენიმე თვე სადღაც გადაიკარგა.

სიკო ელოდებოდა ერთის დღეს, ორ დღეს და შემდეგ ამბავი მოუტანეს:

— გიგომ ერთი ურემი ხორბალი მუცელში ჩაიდო და ლეკში გავარდაო!

რა ეშველებოდა? ზარალი მიემატა. თავის ამხანაგსაც ანუგეშებდა და გულს არც თვითონ იტეხდა.

— ერთი ორი კვირა რომ ასე გაბმით ვიმუშავოთ, ვალებსაც გავასწორებ და ცოტაოდენი ჩვენც დაგვრჩება! ერთი მოხუცი დედა გამეხარებინა და თუნდა...

ამ ფიქრში იყო გართული და ძნებზე წელმიყუდებული, რომ შემოესმა საშინელი რახრახი.

წამოხტა.

ქვაბი გაშმაგებული ტრიალებდა.

ზანზარში საყვირი მოშვებულიყო და ყვიროდა.

ლამბი რამდენიმე ალაგას გაწყვეტილიყო და სადღაც ნაჭრები გადაცვენილიყო.

სალეწზე მდგომი გლეხები „ბარაბანს“ დასცქეროდნენ.

თურმე ერთს გლეხს მიწაზე მოხვეტილი, ნაგვიანი ხორბალი, თითქმის ერთი საცალო აეტანა და სალეწს აყრიდა, რასაც სიკო ხშირად ნებას არ აძლევდა, მაგრამ გლეხები მაინც თავისას არ იშლიდნენ.

საცალოს აპეური „ბარაბანს“ ჩაეხვიენა.

გლეხი უკან ეწეოდა, მაგრამ აპეურთან ერთად საცალოც ჩაითრია.

საცალო ბარაბანში გაჭედილიყო.

მთელს დღეს ეწვალნენ, სანამ ამოიღებდნენ.

— „რემენი“ რომ მკვიდრი ყოფილიყო, გაუძლებდა, არ გაწყდებოდა და საცალოს ნამჯასავით გაიტანდა, ანდა თავისთავად გადმოვარდებოდა, მაგრამ, გაუქრეს ამას გამომცემელი, დამპალია!

ამის შემდეგ სულ რემენს აკერებდნენ.

მაგრამ მას აღარაფერი ეშველა. გიგოს იმედი ჰქონდა, პურს გაჰყიდდა და ახალ რემენს შეიძენდა, მაგრამ გიგომ უმტყუნა.

იყვნენ ერთს წვალებაში.

ლეწვის სეზონი თითქმის თავდებოდა.

მცირეოდენი მინდი რაც აელოთ, ჯორით ზოგი ადგილობრივმა მედუქნემ წაიღო და ზოგიც ძნის მიმწოდებლება მისცეს.

სიკო და მისი ამხანაგი დარჩნენ ცარიელტარიელნი.

რემენის პატრონი ანჯიქო თავის ვექსილით მივიდა სალეწ მანქანაზე ხორბლის წამოსაღებად, მაგრამ...

იქ არც სიკო დახვდა და არც მისი ამხანაგი.

გადიოდა დრო. ანჯიქო ვალს სთხოვდა.

სიკოს რა ებადა, რა უნდა მიეცა?

უჩივლა და მოსამართლემ თორმეტი თუმანი ას-ოც ფუთ ხორბლად დააყენა, რადგან ანჯიქო გაიძახოდა:

— როცა სიკოს ჩემთვის ფული უნდა მოეცა, მაშინ თორმეტ თუმნად ასოც ფუთს ხორბალს ვყიდულობდიო. ფუთს მანეთად!

მოსამართლეებმა სულ უქად შეხედეს ამ საქმეს, მით უმეტეს რომ მოპირდაპირე სიკო გარჩევას ვერ დაესწრო. იგი სამუშაოზე იყო წასული და ვერსად ნახეს.

მაინც გადაუწყვიტეს.

ანჯიქომ განაცხადა: ხორბალი გაყიდული აქვს და სიკო ეხლა ფულებში კოჰაობს, ამიტომ ეგ ასოცი ფუთი ხორბალი ისევ ფულზე გადამიტანეთ დღევანდელ ღირებულებასთან შეფარდებით.

არ ვიცი რა მოსაზრებით, სასამართლომ შეისმინა ანჯიქოს განცხადება. ასოცი ფუთი ისევ ფულად აქციეს — იმ დროს ფუთი უკვე ოთხ მანეთზე მეტი ღირდა! — სიკოს დააკისრეს ოთხას ორმოცი მანეთი.

თორმეტი თუმანი იქცა ორმოც და ოთხ თუმნად. ასეთი პროცენტი? სასამართლო ან არ დაუკვირდა ამ საქმეს, ან და გამოუცდელობით მოსდიოდათ!

უფრო კი ანჯიქომ შეიყვანა შეცდომაში, რომელიც ყვიროდა: მაშინ ხორბალი უნდა მოეცა, ეხლაც ხორბალი უნდა მომცეს — არა და, მისი ღირებულება. ღირებულება კი ამდენი და ამდენია — გაიძახოდა ანჯიქო.

სიკომ გვიან გაიგო სასამართლოს გადაწყვეტილება.

ველარ მოასწრო საჩივრის გადატანა.

— კაცო, ვექსილში თორმეტი თუმანი მიწერია, ათი თუმანი ჩემმა ამხანაგმა მათემ უკვე მისცა, დარჩა ორი თუმანი-ღა. რიღას ორმოცდა ოთხი?

მართალია, სიკოს ამხანაგმა ანჯიქოს ათი თუმანი მისცა, — ცხენი გაყიდა და რემენში ცხენის ფასი მისცა — მაგრამ ხელწერილი არ ჩამოართვა, უფრო კი ხელწერილი ანჯიქომ თავიდან აიცილა, — როცა დანარჩენს ორ თუმანსაც მომცემთ, ერთად დაგიწერთ, მე ხომ უარს არ გეტყვითო — დააიმედა ანჯიქომ.

რემენის პატრონმა შემდეგ ამით ისარგებლა.

ანჯიქო განთქმული მევახშე და ჩარჩი იყო.

რამდენი ამ სთანა საქმე ჩაუდენია, მაგრამ სასამართლოში მუდამ მართალი გამოსულა. საბუთები ჰქონია ზოგი ყალბი, ზოგიც მართალი!

ანჯიქომ გამოიტანა აღმასრულებელი ფურცელი. გულში ფიქრობდა: რა წავართვა? რა აუწერო? მართალია, ორი თუმანი-ღა ჰმართებს მაგრამ რატომ სრულად არ უნდა წავართვა ორმოცდა ოთხი, როცა ამას მე სასამართლოც მიდასტურებს? კანონი მაძლევს! მე ვინ გამამტყუნებს — უჯრედი? „კომსომოლი?“ ეს სასამართლოც მაგათი არ არის? ფეხებსაც ვერ მომჭამენ... მაგათ ჯავრს სულ სიკოზე ვიყრი.

ერთ დღეს ანჯიქო აღმასრულებელს ეწვია.

მისი ძველი ნაცნობი გამოდგა „ჩუსტიას ბიჭი“.

ეს იყო ნახევრად ინტელიგენტი. მოტყუებით შეეპარა ადგილობრივ ხელისუფლებას სამსახურში. ხელისუფლებამ მიანდო ჯერ პატარა საქმე, შემდეგ აღმასრულებლის თანამდებობა. ხელისუფლებას საჯაროდ ერთგულებას ეფიცებოდა, ჩუმად კი გულში აგინებდა.

ანჯიქო მას კარგად გაუმასპინძლდა. წითელი ღვინით გამოათრო და მიუსია სიკოს.

სიკომ რაკი სალეწზე იზარალა, სახლში აღარ დაბრუნებულა. სამუშაოდ გარედ დადიოდა, ხან მოჯამაგირედ იყო, ხან მეწისქვილედ, ხან დღიურ მუშად.

ასე არჩენდა თავის მოხუცს დედას და ორ დას.

მიხო და აბრამი მას ახლო აღარ იკარებდნენ.

აი, ამ ორ ძმას ეჩხუბებოდა მთვრალი აღმასრულებელი „ჩუსტიას ბიჭი“. ამ ძმებზე იშიშვლა რევოლვერი.

აღმასრულებელმა „ჩუსტიას ბიჭმა“ იმ ღამესვე ვახშამზე იგრძნო, რომ გლეხებს უკანონოდ მოექცა და ძმებს არ გააგებინა თავისი ვინაობა: რომ ქონების ასაწერად უდროო დროს მივიდა გაუგებრად მთვრალი, თუმცა ძმები გაყრილები არ იყვნენ, მაგრამ მორალურად მართლები იყვნენ და ვალი სიკოს ემართა, მაგრამ იმის შიშით, გლეხებმა არ დამასწრონ და პასუხისგებაში არ მიმცენო, ამიტომ შეადგინა ოქმი, ვითომ სახელმწიფო მოვალეობის ასრულების დროს ძმები ელაშვილები, მიხო და აბრამა თავს დაესხნენ, სცემეს, საბჭოთა ხელისუფლება აგინეს და სხ. და გადასცა გამომძიებელს.

გამომძიებელმა დაიბარა მიხო და აბრამი.

— სახლში არ შეუშვით?

— არა!

— წინააღმდეგობა გაუწიეთ?

— ჰო, მაგრამ მერე როცა გავიგეთ, აკი ვთხოვეთ.

— პირველად ხომ არ შეუშვით?

— ჩვენ არ გვემართა ვალი!

— სულ ერთია! ვალი თქვენ ძმას ემართა და თქვენ გაყრილები არ ხართ!

— როგორ არ ვართ, გინდა სოფელს ჰკითხეთ!

— საბუთი არ გაქვთ, მაშასადამე, თქვენი გაყრილობა მოგონილია.

უფროსი ძმა იფიცავდა. მაგრამ გამომძიებელი აჩუმებდა.

— კარგი წადი! ყველაფერი ნათელია.

და გამომძიებელმა დასწერა ოქმი, რომ აღმასრულებელს წინააღმდეგობა გაუწიეს, საცემრად იწიეს და პასუხისგებაში აძლევდა სისხლის სამართლის კოდექსის პირველი ნაწილის 74 მუხლის ძალით, რაც ოთხი წლით ციხეს გულისხმობდა.

მოახლოვდა გარჩევის დღეც. დატრიალდნენ შუაკაცები. იძახდნენ შევარიგოთ, შევარიგოთო! აღმასრულებელიც თანახმა იყო, რომ შერიგებულიყვნენ და ძმებს სასამართლოში არ ეთქვათ, ვითომც ის მთვრალი იყო და რევოლვერი ამოიღო.

ძმები ეფიცებოდნენ, არაფერს ვიტყვით, ოღონდ თავი დაგვანებე, ხაფხულია, მუშაობას ვცდებითო!

აღმასრულებელი პირობას უდებდა: სასამართლოში ბოდიში მოიხადეთო.

ძმები დათანხმდნენ.

სასამართლოს სხდომა გაიხსნა.

ჯერ ალაპარაკეს აღმასრულებელი და სიკო თავის ყურებს არ უჯერებდა. ის ხომ დაადასტურა, რაც ოქმში იყო აღნიშნული, კიდევ ზედმეტი ფაქტები დაუმატა; ეგ ძმები ეხლაც მოკვლას მემუქრებიანო!

შემდეგ შემოიყვანეს ძმებიც და როგორც შეპირებულნი იყვნენ, დაიმედებულნი, რომ საქმე შერიგებით უნდა გათავებულიყო, მხოლოდ ბოდიში მოიხადეს. სიკო წინა რიგში მჯდომი, ხან წამოხტებოდა, ხან სიტყვას თხოულობდა. გრძნობდა, რომ მოტყუედნენ და თან კი ფიქრობდა: იქნებ ასეა საჭიროო!

— სჩანს თქვენს თავს დამნაშავედ სთვლით? შეეკითხა მოსამართლე მიხოს.

— დამნაშავედ ეგრე ვთვლით, რომ ვალი ჩვენ არ გვემართა...

— კარგი! რაკი თავს დამნაშავედ სთვლით, ლაპარაკი საჭირო აღარ არის.

გახარებული ძმები გამობრუნდნენ.



მუხრანის მამულში სამეურნეო იარაღების დამზადება.



აგრონომები ხორბლის საწმენდ მანქანებს ამოწმებენ



მუშები სამკელს რემონტს უშვრებიან

— აი, რა ადვილად წყდება საქმე... არც ჩვენ გაგვამტყუნეს, არც ის... შერიგება ასეთი უნდა. რა უყოთ, ფეხი ვის არ წასცდენია... ან ჩხუბში ან სიმთვრალის დროს? კაცს წიხლს ხომ ვერ დავაჭერთ? ეგეც სამსახურის კაცია, ვინ იცის, რამდენი საქმე აბარია, ვისთან არ მოსდის შეხლა და სიმთვრალის დროს ჩვენზე იყარა ჯავრი... შერიგება სჯობია.—ამბობდა უფროსი ძმა.

სასამართლოს მდივანმა წაიკითხა განაჩენი.

ძმები ყურს უგდებდნენ და არ სჯეროდათ.

მიხოს ერთის წლით ციხე მიუსაჯეს, ხოლო აბრამს ერთი თვით.

აღმასრულებელი ხითხითებდა.

— მაშ მოგვატყუე? ეკითხებოდა უმცროსი ძმა მიხო.

— ციხეში ისწავლით ჭკუას!

— აკი შევრიგდით?

— მე რა უფლება მქონდა შეგრიგებოდით, როცა თქვენ ხელისუფლება შეურაცყეთ და ძალა იხმარეთ! პროკურორია თქვენი ბრალმდებელი, დამცველი მთავრობის კანონიერებისა.

— ჩვენ ვიხმარეთ ძალა? გაფითრებულმა უმცროსმა ძმამ გააკრაჭუნა კბილები!

— მაშ ჩვენ რომ ყველაფერი გვეთქვა ხომ შენ დაისჯებოდი... იძახოდა აბრამი.

რად ჰქენ? რად დაგვღუპე?

— აკი ვერაფერს დაგაკლებდით და ყველაფერი ფეხებზე გვკიდათ!

— ვენახი უპატრონოდ გვრჩება! ბანკის ფულით ბამბას ვთესავთ—ეხლა რომ ციხეში ჩაგვსხან...

აღარ აცალეს ლაპარაკი და მილიციონერებმა წაიყვანეს.

სიკო ვერ გამორკვეულიყო. გაშტერებულმა ვერც კი გაიგო, ძმები როდის დააშორეს.

რემენის პატრონი აღმასრულებელს რაღაცას ეჩურჩულებოდა.

ორივენი ხარხარებდნენ.

ბოლოს რემენის პატრონი მიუახლოვდა სიკოს და მხიარულად უთხრა:

— არ გერჩივნა, გადაეხადნა? ეგ გინდოდა, რომ ძმები ციხეში ჩაესხა და მაგათ მონაგრებულს ზედ დასჯდომოდი?

სიკო მაინც გაშტერებული იდგა. ყველანი წავიდ-წამოვიდნენ.

- ნუ თუ ეს არის სამართალი? მოსამართლეებმა აღმასრულებელს მხარი დაუჭირეს და ჩვენ გაგვთელეს, როგორც მინდვრის ბალახი! დახე, როგორ მოგვატყუა! დაგვითათბირა! დაგვამშვიდა: შერიგებით გათავდებაო და ყელშიკი თოკი წაგვიჭირა.

— დედას გიტირებთ, სამართალს მივაგნებ!

ფიქრობდა გულში სიკო და თან კიბეზე ჩამოდიოდა, თითქოს დაქვრივებული, თითქოს ოჯახ-ამოწყვეტილი.

სახლში რომ მოვიდა, დედამ და დებმა შემოსტირეს. იმათ ადრე გაეგოთ მიხოს და აბრამის დაპატიმრება.

— რათა შვილო? რათა? რა დააშავეს!? ტიროდა დედა. შენ ვალი გემართა ისინი ციხეში წაიყვანეს? აგრემც ის დღე გამქრალა, როცა შენ გუთანს თავი დაანებე და რაღაც მაშინას გადაჰყე!

სიკომ იმ სალამოსვე მეზობლისგან ერთი თუმანი ისესხა და წნორის მატარებლით თბილისში გამოემგზავრა.

თბილისში ის ოსტატი ეგულებოდა, რომელთანაც ორ ზაფხულს სალეწ მანქანაზე მუშაობდა და რომელმაც ხელობა შეასწავლა.

— იმ ოსტატს სახელად მაკარი ჰქვიან.. გვარი აღარც კი მახსოვს, მაგრამ იმას ხომ ყოველი მუშა იცნობს, ეიპოვი საცა არ იქნებაო. ფიქრობდა სიკო.

სიკომ თბილისში ბევრ ქუჩას აუარჩაუარა. ბევრს ჰკითხა მუშა მაკარი, მაგრამ ვერაფერს გაიგო.

პროსპექტზე ავტომობილების მიმოსვლას უცქეროდა და შორიდან თვალი შეასწრო მაკარის ტატს.

მოროთო ყვირილი—მაკარი! მაკარი!

ავტომობილს უკან დაედევნა.

აუარებელ ხალხის ყურადღება მიიქცია.

მილიციონერებმა „სვისტოკებს“ დასაქმეს.

ავტომობილი გაჩერდა!

— მაკარი!

თითქმის ატირებული სიკო ავტომობილს ებობღებოდა.

— შენი ჭირიმე, მაკარი! მიშველე!

— სიკო! რა გაგჭირებია?

სიკოს უნდა დაეწყო თავისი თავგადასავალი და ძმების ციხეში ჩასმა, მაგრამ მაკარიმ შეაჩერა და უთხრა.

— ეს ჩემი ადრესია... წადი ჩვენსა! მე სადილად მოვალ... ეხლა საქმე გვაქვს დეპოში...

სიკომ ჩამოართვა ადრესი. მივიდა მაკარის ბინაზე და ზარი დარეკა.

პირდაპირ შევიდა სახლში. სთქვა მაკარის ველიო და სკამზე ჩამოჯდა. მაკარი სადილად მოვიდა. ხელპირი დაიბანა. სიკოსაც დააბანია.

— სიკო! ეგ რა დახეული ტანისამოსი გაცვია! გაიხადე და ეს ჩემი ნახმარი კოსტიუმი ჩაიცვი, შენსას ბევრად სჯობია.

სიკოს თავის კოსტიუმი ჩააცვა. სიკო მთლად გამოიცვალა.

შემდეგ მაკარიმ ამბავი გამოჰკითხა.

სიკომ დაწვრილებით უამბო.

მაკარი განცვიფრებული უგდებდა ყურს. ხან ბრაზი მოსდიოდა, რომ ასე უთავბოლოდ მოქცეულიყვნენ. უფრო ბრაზობდა აღმასრულებელზე. რომელიც ანჯიქოს ანკესზე იყო გაბმული და ზაფხულის მუშაობის დროს ასე რიგად დაჩაგრა გლეხები.

— ბანკიდან ფული აეიღეთ და ბამბას ვთესდით, ძმები კი ციხეში ჩასხეს. ვენახიც გვიფუჭდება... შესჩიოდა სიკო.

იმავე დღეს მაკარიმ გურჯაანში დეპეშა დაჰკრა სასამართლოს სესიის თავმჯდომარეზე, რომ ელიაშვილების საქმე უზენაეს სასამართლოზე გადმოეგზავნათ, რასაც შუამდგომლობდა ამიერკავკასიის ცაკის წევრი, დეპოს მუშა მაკარი №.

სასამართლოს სესია თავის თავმჯდომარით დაფაცურდა. იგრძნეს რაღაც დ ნაშაულობა.

ეს ამბავი „ჩუსტიას ბიჭმაც“ გაიგო.

ძმები ელიაშვილები თითო კვირით ციხეში, მაინც ისხდნენ, სანამ უზენაესი სასამართლო სესიის განაჩენს არ დაარღვევდა.

მაკარიმ პასუხისგებაში მისცა ჩუსტიას ბიჭი, ანჯიქო და ის მოსართლეები. რომლებმაც 12 თუმანის ნაცვლად, ორმოცდა ოთხი თუმანი გადაუწყვიტეს.

საქმის გარჩევა დანიშნულია ამ თვის ოცში.

მკითხველს შეუძლიან დაესწროს ძველი რეჟიმის ნაშთების გასამართლებას.

# ორღობის საიდუმლო

(სოფლის სურათები)

## ა.

მიხამ რომ დაბაში ურემზე დაუწყო კოოპერატივში შეძენილი ოჯახისათვის საჭირო საქონელი, სადაც ჩააბარა გასასაღებლად თავისი მიწის მოსავალი—სიმინდი, კართოფილი და ბაღიდან—ხილი, ვაშლი,—მზე უკვე ქედს გადაეწვერა და აიკრიფა აბრეშუმის თმები, სხივები; საღამო გასაღვიძებლად ემზადებოდა; ქარი იალქნებს სჭიმავდა...

— აბა, ნახვამდის, ვანო; ზეგ კიდევ ჩამოვალ; აქ მაინც საქმე მაქვს, თემკომში, და... —უთხრა მან კოოპერატივის ნოქარს, რომელთანაც ერთად შეადგინა მათ სოფელში კოოპერატიულ დუქნის გახსნაზე შუამდ ომლობის გეგმა...

— კარგი, მიხა, აგრე...! ჩემი დახმარების იმედი გქონდეს...—მიუგო ნოქარმა მიხამ გადააწნა წამბლას და ლვინიას სახრე და გაუდგა სოფლის შარა გზას. იჯდა კოფოზე და ღიღინებდა იმედიანად.

ცაზე გველების ქარავანივით გაიბა ლეგა ღრუბელთა ქულები, რომელსაც ქარი მიელალებოდა საითღაც დასიცხულ აქლემებივით...

ბარაქიანი მინდვრები ისვენებდნენ ტრაქტორთა რაზმის მოლოდინში, რომელთაც დარაჯებივით უდგნენ ტყიანი მთები, სადაც ნისლი სცდილობდა შეფარვას გაქცეულ ყაჩაღივით და ამაყად გადმომჯდარი ორბები ჭკიოდნენ, ონავარ თვალთა აბრიალებით...

საურმე გზას, რომ გვერდზე უდიოდა მდინარე, ქუხილით, ან მთათა გულიდან იყო გადმოხეთქილი, რომელიც ვიწრო კლდეთა ბოლაზს მოანგრევდა ველური ვ რდნით და ფაფარ აყრილი მოექანებოდა დაბლა...

## ბ.

მიხა იყო წითელი არმიიდან უვადო შვებულებაში წამოსული, შარშანდლიდანვე და, რაც წითელ სკოლაში—ყაზარმაში შეი წავლა, ყოველმხრივ სცდილობდა ახალ გზაზე შემდგარ სოფლისთვის მოეხმარა, აეყვავებინა, დახმარებოდა თანამესოფლეებს და წინ წაეწია ოდესღაც ჩამორჩენილი მშობლიური მხარე...

— აბა, ვინძლო, ამხანაგებო, ეხლა რომ თქვენ სოფლებს დაუბრუნდებით, გამოიყენოთ აქ შეძენილი ცოდნა, და არ გასწყვიტოთ კავშირი თქვენს აღმზრდელ ყაზარმასთან.—ეხლაც ახსოვს ეს სიტყვები, რომელიც უთხრა შინ მიმავლებს, ლეგიონის სამხედრო კომისარმა, და დაარიგა თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ სოფლად...

— ახალი, საბჭოთა სოფლის წინ წაწევა ყოველმხრივ, კულტურულად აყვავება, კოოპერაციის აღორძინება, გზების გაყვანა, არხების გაჭრა, ტყის დაცვა განადგურებისაგან, ელექტროფიკაცია, სხვადასხვა კულტურულ წრეების დაარსება; მიწის გაუმჯობესებულ წესებით დამუშავება, მეურნეობის კოლექტივიზაცია. აგრომინიმუმზე ზრუნვა, ყველაფერში ღარიბ და საშუალო გლეხობის ჩაბმა, ოჯამაგირეთა და ქალთა დაწინაურება, კოლექტივების, ამხანაგობების, არტელების, კომუნების დაარსება და მასში ჩაბმა სოფლის აქტივის, ღარიბთა შეკავშირება, ახალი იარაღ-მანქანებით ხვნა, თესვა, მიწის განოყიერება სასუქით, აგრონომის რჩევის მიღება, ბაღ-ვენახების გაშენება და მყნობა ახალ ყაიდაზე, კულტურულ მცენარეულობათა თესვა, გადარჩეულ და ნაწამლ თესლის ხმარება, თესლეულობის ფონდის შექმნა, კონტრაქტაციის დადება, პარტიის ხაზის გატარება სოფლად, კომკავშირის, რემედასის და სხვა უჯრედების ხელისშეწყობა, მასში ახალი წევრების მოზიდვა, პარტწმენდის და აპარატის გაჯანსაღება, ხელის შეწყობა, აქტიურად ჩაბმა, მუშაობის გამოცოცხლება: კულაკობის წინააღმდეგ დარაზმვა, ინდუსტრიალურ სესხის პროპაგანდა, სოფლის გასამხედროება, ბობოლების გარიყვას სოფლო მეურნეობის დარაჯებიდან: ყველა ჩარჩ-ვაჭრების ალაგმვა, რაც უმთავრესია, ანტირელიგიურ აგიტაციის წარმოება, თესვის კამპანიის ჩატარება, მკითხავ-ექიმბაშების კუდის ამოძუება სოფლიდან; გლეხობის სიბნელიდან გამოყვანა; ძველ ადათ-ჩვეულებათა აღმოფხვრა, ახალი კომუნისტური ოჯახის შექმნა, რომლის ფხიზელ გუშაგად დგომაც შვებულ წითელარმიელთა მოვალეობაა და სხვა...—ამბობს პოლიტხელმძღვანელი.

— აბა, ამხანაგებო, თქვენ მიდიხართ ყველა ამისთვის მომზადებულნი და იმუშავეთ ენერგიულად, განამტკიცეთ ქალაქის მუშისა და სოფლის გლეხობის კავშირი—ეს საწინდარი ჩვენი ქვეყნის აღორძინების, მალე გატასვლის სოციალიზმში; თქვენ ხართ საბჭოთა ხელისუფლებისა და კომპარტიის თვალები სოფლად და ფხიზლად უნდა იყოთ; არ შესწყვიტოთ კავშირი თქვენს აღმზრდელ წითელ ყაზარმასთან, და თუ საჭიროება მოითხოვს და მოგიხმობთ, უმალ აქ გაჩნდით პირველ განგაშზევე...—უმატებს ლეგიონის უფროსი.

და. ჩვენ შევასრულებთ ყველა ამას!—იყო წითელარმიელთა პასუხი.

— ვფიცავ, რომ წინ გაუძღვები ჩვენი სოფლის კეთილდღეობაზე ზრუნვას!—დაატანა მაშინ მიხამ..

აი რა მოგონებები მიჭქროდენ მიხას გონების და მეხსიერების თვალწინ, ვით კინო-ლენტა, და ახლად აბიბინებულ ულვაშზე ხელის გადასმით ღიმილი იქსოვებოდა ურმის ჭრიალში...

## გ.

ობლობაში აღიზარდა მიხა: მას დედმამა ადრე დაეხოცა და ბობოლა გლეხის-კაკოლას მოჯამაგირეობაში ამოსდიოდა სული; დარჩა უსწავლელი და, რა წამოიზარდა, სოფელში ტოლები ვერა სჯობნიდნენ, საუკეთესო მშრომელად ითვლებოდა; ამასობაში თვალი მოჭკრა და გულში ჩაუვარდა ერთი ულარიბესი გლეხის ქალი, თინა, და თითონაც ატყობდა თინას მაზე გულის შევარდნას, რომლის მამაც, რომელსაც მის მეტი შვილი არა ჰყავდა, სიამოვნებით შეიყვანდა თავისთან ზედსიძედ, რაიც მოხდა კიდეც შემდეგ, როცა მიხა დაბრუნდა წითელი არმიიდან..

ის რომ თინას შეხვდა, ეს იყო საღამოს, როცა ბინდმა უკვე ფრთები აათამაშა, ხარები მილალა წყლის სმად ავაზანზე, და თინა, კოკით მხარზე გამოჩნდა წყაროს თავზე, და, ამ დროს ფირუზ თალზე მთვარე ამოგორდა, ნაზუქივით, თითქოს ყბა მოღრეცით გადმოიხედა, გაიღიმა..· გაეღიმა მას, მიხას თუ თინას პირველად, აღარ მახსოვს, და... ეჰ, კინაღამ მეც გამიტაცა ამ სურათმა, რას გრძნობდნენ ამ დროს ისინი ცალცალკე და ერთად, აბა რა ჩვენი საქმეა? გადავიდეთ პირდაპირ საქმეზე..

— ე მიხა დროზე მომეშველა, ეგაა ჩემი მარჯვენა ხელი..—იტყოდა ხოლმე მოხუცი ანდრია მეზობლებში და ჩიბუხს ქალამნის ჭვინტზე დაიბერტყდა...

— ჰა, თინა, ტყუილს ვამბობ?—შეეკითხა შვილს ერთხელ,—ძაან ბიჭია ხომ?

— იჰ, აბა რა ვიცი, ქაა?—ამის მეტი ვეღარა მიუგო-რა თინამ, და მორცხვად თავი ჩაღუნა. ეს კი მისი უხმო, სიყვარულით აღსავსე გულის დასტური იყო და, ქურდულად შეაპარა გადახედვა თავის საყვარელ მიხას...

— ჰაი დედასა! აბა ვინ იფიქრებდა, რომ ეგეთი ბიჭი დაბრუნდებოდა ჯარიდან, მიხაი?

— გახსოვს, ვიდრე იქ წავიდოდა,—ცინგლიან რომ ვეძახდით ხოლხე?

— ჰო, აბა ეხლა გადაუდექით წინ! იქ წასვლამდე თუ ანაბანაც კი არ იცოდა, აბა ეხლა შეეჯიბრეთ!...

— ასე იცის და წითელმა ყაზარმამ!..

ხშირად მოჰკრავდით ყურს შეკრებილ გლეხების ასეთ საუბარს, რა მიხას შეამჩნევდნენ ან გავლისას, ან სასოფლო ყრილობაზე მოლაპარაკეს, ან და...

## დ.

მიხა სამაგალითო იყო ყველასათვის და ყველა აქებდა მას, ყველა უჯეროდა, მის რჩევას ყურს უგდებდენ, ყველას საყვარელი შეიქნა, მაგრამ მას ჰყავდა მტრებიც, რომლებიც ვერ ინელებდენ მის აქტიურობას, მასში ხედავდენ დაუძინებელ მტერს; მიხა მათ მუდამ კრიჭაში ედგა და გასაქანს არ აძლევდა; ის იყო აგრეთვე სოფლის მოამბე, გლეხი კორესპონდენტი ცენტრალურ გაზეთებში და ამჟღავნებდა სოფლის ამ არასასურველ პირთა მიერ ჩადენილ ბოროტებებს და მოითხოვდა მათ ალაგმვას...

ესენი იყვნენ... მაგრამ, არა, მერე ..

ჰო, რას ვამბობდი?

ვინ იქნებოდა მისი მტერი, როცა ის უკვე შეუდგა სოფლის ულარიბეს გლეხთა, საშუალოთა, მოჯამაგირეთა და, სხვა, კოლმეურნეობაში დარაზმვას? ვის ეცლებოდა ამით გავლენა ღარიბებზე, სოფელზე, რომლებსაც ნახევარ ფასში ამუშავებდა თავის მამულში, ზვარში? ვინ მოექცა შავ სიაში, როდესაც მიხამ საბჭოთა არჩევნებზე განაცხადა:

— ბევრი უქნარა წევრი ძველი საბჭოსი სცდილობს ისევ გაძვრეს, მაგრამ ჩვენ არ უნდა დავუშვათ! უნდა გავრიყოთ ყველა არამზადები; შავ სიელების პროვოკაციას ბოლო უნდა მოვუღოთ, გავრიყოთ; საბჭოები ჩვენი ხელისუფლების საფუძველია და ის უნდა გაწმენდილ იქნას არასასურველ ელემენტების ხელის ფათურისაგან; მასში უნდა ავირჩიოთ ულარიბესი და საშუალო გლეხობა, მოჯამაგირეობა, აქტიური ქალები, პატიოსანი ინტელიგენტური ძალები; უნდა ამოძრავდეს ღარიბთა ჯგუფები, პარტიულები, კომკავშირელები...

— ჰმ! ნამოჯამაგირალიც რომ მე მაჯდება თავზე!—ჩაილაპარაკა კბილების კრაჭუნით ვილაცამ, მაშინ..

ვინ დაემტერებოდა მიხას, როდესაც მან სოფელი დაითანხმა და უკვე შეუდგა კოოპერატიულ დუქნის გახსნას? ვის შეეძლო მტრობა, როცა მან უკვე გაახსნევინა აქ, მაზრის ჯანმრთელობის განყოფილებას საექიმო პუნქტი, რომელიც ამ მოკლე ხანში დაიწყებდა მოქმედებას? ვინ იქნებოდა ფარული მტერი, როცა მიხამ ანტირელიგიური კამპანია გააჩაღა, ჩამოაყალიბა ულმერთოთა წრე, საყდრის კლუბად გადაკეთება ურჩია სოფელს და სხვა?! ვის ამჟღავნებდა მიხა, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ კედლის გაზეთში, რომლის აქტიური რჩევითა და მონაწილეობითაც დაარსდა, რომელმაც ამ გაზეთის ირგვლივ დარაზმა სოფლის ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი, დაარსა გლეხკორთა წრე?..

და, მუდამ მორცხვი თინაც კი აამოქმედა, ისე გამოწაფა, რომ სოფლის ქალთა წრეებში საუკეთესო მომუშავედ გადაიქცა...

ამ ფიქრებს უტრიალებდა მიხა, კოფოზე, მოღიღინე, როცა ურემი შეჭრიალდა ორღობეში...

ბინდი ჩამოწვა...

გორაკზე გადმომდგარ სოფელში, აქა-იქ, უკვე აბჟუტდა სანათები. რაღაცა ერთი ვერსიდა, და უკვე ავა, ნახავს თავის თინას, პატარა ბიჭუნას, გაახარებს ახალი საქონელით ოჯახს, მაგრამ...

— შესდექ!

— შეაყე ხარები!

მოესმა აქეთ-იქიდან და, მან შენიშნა ვენახების ღობეებზე როგორ გადმოხტა ორი კაცი, ყაბალახ ახვეულები სახეზე და ხელში ხანჯლებით...

ერთი მათგანი ხარებს გადუდგა წინ, შეაჩერა და, მეორე კი ურემს უკანიდან აუხტა და ხანჯლით შეუტია მიხას. რომელიც არ დაიბნა, სწრაფად შემოუტრიალდა და ისე მაგრა სდრუზა იფნის სახრე ჯერ სახეში და მერე მაჯაზე, რომ ურემზე ამხტარი დამცემი შეტორტმანდა და ჯერ ვერ მოსულიყო გონს, რომ სახრემ კიდევ გაადინა ტყლაშანი, მერე ხანჯლიან ხელს და, დაუვარდა. რა დაილუნა ასაღებად, მიხას უკვე ფეხი ედგა ხანჯალზე და ხელ და ხელ ეცნენ...

მიხამ ღონიერი მკლავებით მოწინაალმდეგე ქვეშ ამოიდო, მაგრამ ამ დროს მეორე თავდამცემი აუხტა, ხანჯლის რემოდენიმე დარტყმა უკანიდან და, მიხა შე ორტმანდა, თვალთ დაუბნელდა, ჭალზე ხელი მოჰხვია და... მეტი აღარაფერი ახსოვდა, თითქოს ბურა'ში წავიდა, გატვრინდა, ურმიდან ძირს გადმოეშვა...

დამფრთხალი ხარები რიხინით მიარბენინებდენ ურემს; თავდამცემნი მეტს ვ-ღარ მოითმენდენ ურემზე, იგი უახლოვდებოდა სოფელს, რომლის ბოლოდანაც ისმოდა უკვე ძაღლის ყეფა..

— მგონია მოკვდა!

— მეც ეგრე მგონია!.. ეხლა წავიდეს და ირიჟოს!..

ვგონებ ეს სიტყვები-ღა ჩასწვდა ყურში მიხას, ვიდრე მთლად დაჰკარ-ავდა გონს, და თავიდან იფეთქა სისხლმა, ზურგიდან ხომ აღარ სჩანდა რამდენ ადგილიდან სდიოდა...

ის კი ვეღარ ნახა, დამცემებმა როგორ გაძარცვეს ურემი, როგორ გადა თრიეს, რასაც კი მოერეოდენ...

ჭკვიანი ხარები შესდგენ მიხას სახლის წინ...

3.

— რა ვქნა, რა იქნა მიხა?!—გაიკვირვა თინამ, რა ურემი შესდგა, გამოეგება გახარებული, დაეხმაურა, ხმა არსაიდან მოესმა და, მთვარის შუქზე კი შეამჩნია ურემზე სისხლი, მოსალოდნელ საქონელზე ნაკლები რაოდენობა და შეჰკივლა...

შეწრიალდა სოფელი. დაიწყო ძებნა. გაჰყვენ დაბის გზას, და იქ, სადაც გზას სჭრის წაბლა-რუ ბოგირზე წააწყდენ უგრძნობლად მდებარეს...

ის მაშინ ჩამოცურდა თურმე ურმიდან, როცა შეატყო დამცემთ ძალის უპირატესობა, დასუსტდა ჭრილობებით, რათა მკვდრად მოსჩვენებოდა მათ, მერე სცადა ადევნება მაგრამ დაბარბაცდა, კაკლის ხეს მოეყრდნო... მან გაიგო წაბლა-რუს ნელი დუდუნი, მივიდა ძლივს, უნდოდა დასწაფებოდა, პირი უშრებოდა, მაგრამ გაახსენდა რომ დაჭრილს არ დაელევინება წყალი, ამ დროს მავნებელია, მაგრამ კეფის მობანვა კი იწ'ო, რომელიც სასიკვდილო დაზიანებისაგან წითელ არმიელის საზამთრო ქუდმა დაიფარა, რომელსაც ეხლაც ატარებდა... ის ვეღარ ადგა, ტკივილები აწუხებდა, ხის ძირას მიეყრდნო... და აღარ ახსოვს საძებრად ხალხი როგორ წააწყდა, როგორ აიყვანეს სოფელში...

— მაშ არ გახსოვს, ამხანაგო მიხა, ვინ იყვნენ?—შეეკითხა მეორე დილას აღმასკომის თავმჯდომარე, ლოგინში მწოლარე მიხას, როცა ის გონს მო,იდა, თინას, მეზობლებისა და განსაკუთრებით ამ რაიონში ახლად დანიშნულ ახალგაზრდა ექიმის ცდით...

— არ მახსოვს... პირახვეულები იყვნენ... ორნი... ერთი ქვეშ ამოვიდე, მაგრამ მეორემ.. ერთ-ერთს ჩემი ნაცემი უნდა ეტყობოდეს...—მიუგო მიხამ, სუსტი ხმით.

— საშიში არაა, ჩემო დაო, თუ ისე მოუარეთ, როგორც დაგარიგეთ, და ორი კვირის შემდეგ ფეხზეც წამოდგება..—დააიმედა ექიმმა თინა, რომელიც ლოყებს იხოკდა...

— უმეტესი საქონელი წაღებულია?.. მაშასადამე ყაჩაღები?! მაგრამ აქეთ მხარეს ასეთი შემთხვევა რომ არ ყოფ-ლა?! ნუ თუ გაძარცვის მიზნით?! სოფელი დააფიქრა ამ ამბავმა. ახალგაზრდობა ეძებდა ბანდიტებს...

ჲ.

— ეგ რა მოგვსლია, კაკოლი? თვალი რაზე შეგიხვევია?—ჰკითხა ვენახისკენ მიმავალს, რა გზად შეხვდა, აღმასკომის თავმჯდომარემ.

— არაფერია... გუშინ შეშასა ვჭრიდი, და ი ვერანა ნაფოტი მომხვდა...—მიუგო კაკოლამ, და გზა განაგრძო.

— ჰმ!!!—შეეჭვდა თავმჯდომარე, მით უფრო, რომ არა ერთხელ უთქვამთ მისთვის, მიხას ემტერებაო, და, არაფერი უყოსო...—შეაჩერა.

— რა გინდა, ილიკო?—ვითომ აქ არაფერიაო, შეეკითხა კაკოლა, ნაძალადევი ღიმილით.

— აბა, წამო აღმასკომში.

კაკოლას ფერი-ფური ეცვალა...

— რაშია საქმე?

— აბა ტანზე გაიხადე...—უთხრა თავმჯდომარემ, როცა აღმასკომში ავიდენ და მდივანს მიმართა ექიმი მოეყვანა, რომელიც ჯერ კიდევ სოფელში იყო და დაბაში არ დაბრუნებულიყო

— რათ უნდა გავიხადო?

— მაგას ეხლავე გაიგებ!

და, რა ექიმი მოვიდა, კაკოლას ტანზე მრავალი სილურჯე აღმოაჩინა...

— მანდ ნაფოტი მოგხვდა, მაგრამ ტანზე რაღა?!—დაცინვით შეეკითხა თავმჯდომარე.

— ეს კიდევ...—რაღაცა უნდა ეთქვა კიდევ, კაკოლას, მაგრამ ენა აერია, დაიბნა, გაება... და ყველაფერი დაფქვა, აღიარა... მთელი სოფელი აღმასკომს შემოეხვია, პასუხის მოლოდინში...

— მაპატიეთ, შევცდი—დაუჩოქა ხვნეშით...

— შევცდიო?! ჰმ!.. ვინ იყო კიდევ შენთან?

— მედუქნე იყო, გუცა...

ამის თქმა იყო და რამდენიმე ახალგაზრდა გაქანდა, მოსაყვანად, მაგრამ ის იქ აღარ დახვდათ, რამდენიმე საათის შემდეგ დაიჭირეს სადგურისაკენ მიმავალი, ქალაქში გასაქცევად...

— რათ გაძარცვეთ, თუ მხოლოდ მოკვლა გინდოდათ მიხასი?

— იმიტომ, რომ ნამდვილი მიზანი დაგვეფარა.

— ნაძარცვი რა უყავით?

— მღვდელ ონოფრეს მივაბარეთ...

სტაცეს იმასაც ხელი.

— აბა, რა ვიცოდი, შვილო, მითხრეს: მამაო, ცოტახანს შეგვინახეო, და... მეც... ალბად შემაცდინეს მაგ სატანის კერძებმა...—იმართლებდა მღვდელი თავს.

— რასაკვირველია, აბა, მაშ მღვდელი მაგას იკადრებდა?! რამ გაგასულელათ? გაუშვით ხელი!—ჩაერია საბედა, აქაური მკითხავი-ექიმბაში, მაგრამ ისიც ამ სამეულს მიუყენეს.

— განა არა, გუშინწინ ეს ოთხივე გუცას დუქანში იყვნენ და რაღაცაზე ლაპარაკობდენ ჩუმად, მე რომ შევედი თამბაქოსთვის, ხმა ჩაწყვიტეს... და აბა, რა ვიცოდი, თუ ასეთ საქმეს აწყობდენ?!—წარმოსთქვა მენახირე გაბომ.

— სიკვდილი მაგათ!!!—იგრიალა ხალხმა—ჩავქოლოთ აქვე!!!

— არა, ამხანაგებო! ხალხო! ეგრე არ ვარგა!.. ჩვენი ხელისუფლება თავისი რევოლიუციონური კანონით თვითონ მუსჯის, რაც ეკუთვნით!... — ძლივს დაამშვიდა თავმჯდომარემ აღელვებული ხალხი და ოთხივე გაუყენა სამაზრო ქალაქის გზას.

— მიხა?

— ჰმ! მიხა განიკურნა და აბა აიარეთ სოფელში, როგორ ტრიალებს!..

**სეზმან ერთაწმინდელი**



ერთი უსაშინლესი მტერი გლეხის ნამუშევარისა არის კალია, რომელიც რამდენიმე საათში ანადგურებს მინდვრის მოსავალს. სურათზე ნაჩვენებია ბრძოლა კალიასთან ჩრდილო კავკასიაში.



ფიზკულტურის სახლი ბათომში.

# ჩვენი ფოტო-



თბილისის ინდუ'ტ. ტეხნიკ. მანქანათა საცდელი ლაბორატორია.




ფოტ. ნუცუბიძის.

ქობულეთის მაზრის გლეხკორთა კონფერენცია.




სრ. საქართველოს ჩაის კულტურის მუშაკთა მესამე თათბირი ბათომში, ახალ მუშათა კლუბში.



ამხ. მამია ორახელაშვილის სახელობის გაგრის სანატორიუმი.



ამხ. მამია ორახელაშვილის სახელობის გაგრის დასასვენებელი სახლი.

# ქრონიკა



კავთისხეველი ასი წლის მოხუცი გლეხები



საფუტკრე მუხრანის სახელმწიფო მამულში, სადაც თბილისის უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტის სტუდენტები მეფუტკრეობას სწავლობენ



კრუპსკაიას სახელობის საბავშვო მოედანი თელავის ათწლედთან ძაფსალებ ქარხნის მუშებისათვის. მოედანს ხელმძღვანელობენ ათწლედის პედაგოგიურ განხრის მოწაფეები.



სტალინის სახელობის ქარხნის მომუშავენი



მონადირეები სახუნდარზე



ფიზკულტურელების შეჯიბრება



**გუვერ** — **ბრან** — **შტრეზემან**

ვალებს სთხოვენ მუქარით: ამერიკა საფრანგეთს, საფრანგეთი გერმანიას, გერმანია ყელში უჭერს თავის პროლეტარიატს.

### გამგე წმენდაზე

— მე მგონია ჩემი ბიოგრაფიის მოთხრობა საჭირო არ იქნება, ვინაიდან ჩემს დაწესებულებაში სულ ჩემი ნათესავები არიან და მათ უკვე იციან ჩემი ვინაობა.

### „გამომგონებელი“

— ჩვენი გამგე დიდი გამომგონებელია, ყველა წმენდაში მოყოლილი ნათესავებისათ ვის ახალ-ახალ თანამდებობებს იგონებს.

### „იღბლიანი“

— ამბობენ, ძალიან მოხერხებული ბინა გიშოვნია!

— ო! ბინა ძალიან მოხერხებული მაქვს, სამიკიტნომდე ხუთი ნაბიჯია, დამზღვევ სალაროომდე ათი და სამსახურამდე ვერს ნახევარი იქნება!

### უებარი საშუალება

— არ ვიცი იაგორ სტეფანიჩ რა ვქნა! სიმსუქნისაგან ვექიმობ და არაფერი მეშველა, კისლოვოდსკიც კი მოვიარე!

— ეგ რად გინდათ სტეფან იაგორიჩ! მაგისთვის ჩვენი აგარაკები ჩინებული საშუალებაა: აუარებელი ბაღლინჯო, დილამდე მოაგარაკეთა საშინელი ღრიანცელი, დაბოლოს საშინელი სიძვირე და გაწეულ ხარჯზე დარდი, ყველა ეს ისე გაგახდენთ, რომ სარს დაემზგავსებით!

### საიდუმლოს შემნახველი

— ივანე ხოხვაძე! თქვენ იცოდით თუ არა, რომ პეტრე ფაშვაძე ქრთამებს იღებდა? თქვით სიმართლე!

— არ ვიტყვი მოსამართლე! იმიტომ, რომ საიდუმლოების შესანახად ფაშვაძე ცოტას მეც მაძლევდა!

### თავდაბლობის ნიშანი

— არა გრცხვენია, პარტკომის მდივანი ხარ კაცი და ქელეხებში დაიარები?

— რომ არ წავიდე ჩემო ძმაო, იტყვიან გადიდკაცებულაო და არ გვკადრულობსო!

### პასუხისმგებელი პირი

— თქვენ რაიმე საპასუხისმგებლო ადგილზე თუ ყოფილხართ?

— როგორ არა! ორჯერ ვიყავი საბრალდებლო სკამზე!

### კბილის ექიმთან

— რა მიქენ ექიმო, ავადმყოფ კბილის მაგივრად, კარგი კბილი ამომაძრე?

— ეს იმიტომ, მოქალაქევ, რომ კარგ კბილს ავადმყოფი კბილი გააფუჭებდა და დროზე მოვაშორე!

### საქმის სპეცი

— ეჰ! ტყვილა ტრაბახობ! შენ რაღაც ერთი საქმე გაგიკეთებია, ჩემს ზურგზე კი მრავალ დაწესებულების აუარებელ საქმეებს გადაუარია!

— ალბად დიდი სპეცი იქნები!

— არა! ტვირთმზიდველი მუშა გახლავარ!



### ცერგიბელი

(მუშას): შეგიძლიან ყველაფერზე იოცნებო, გარდა „წითელი ოქტომბრის“.

**გერმანელი მუშა:** ჩვენ არ ვოცნებობთ, პრაქტიკული ხალხი ვართ!

(„პროჟექტორ“)

## ს ა ქ ვ ი რ ვ ე ლ ი ა!




„ცეცხლს“ გადურჩი! — „წყალს“ გადურჩი! — დახეთ, წმენდას ვერ გადურჩი!

მთავლიტი № 1290 ტირაჟი 4.250 — პ/ტ მე-5-ე სტამბა. — გაზ. „კომუნისტი“-ს გამომცემლობა.